საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლოდროინდელი სიფცეა, ფიცილებით და ჯიბრებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 31 ოქტომბერი. 2022 წ. №168 (9506) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

„ქართულ ოცნებას“ პროპაგანდისტული მანქანა არა აქვს!

იხ. 4 გვ.

ამ ომის პირობებში საქართველო საჭირო ხდება ევროპისთვის!

რამაზ საყვარელიძე: არგუმენტების უფრო ძლიერი სისტემა არის მოსატანი. სულ არა აქვს არგუმენტები ოპოზიციას, რომ ხელისუფლება პრორუსია, მაგრამ ყოველ მეორე წუთას ამის გამეორებით შედეგს იღებს და ეს ფრაზა – „ხელისუფლება პრორუსია“ ბევრის ტვინში რჩება

იხ. 4 გვ.

ვახტანგ მეგრელიშვილი:

უნიჭოების გაერთიანება

ამ ჯგუფის სურვილია, „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე რადიკალური ჯგუფის ადგილი დაიკავოს.

უკრაინის „დესატანიზაცია“

იხ. 6 გვ.

Beka Beridze (RFE/RL)

რუსი ანალიტიკოსები ხშირად ამბობენ, რომ მართლმადიდებელ პუტინს არაამქვეყნიური ბნელი ძალების სჯერა. შამანებმა პუტინს უთხრეს, რომ „ხედავენ ცეცხლოვან ჩიტს, რომელსაც მოაქვს ნგრევა, სიკვდილი და გამარჯვება“, მაგრამ არ დააკონკრეტეს – ვისთვის მოაქვს ეს ყველაფერი.

გიორგი გახარია ისევ ჭორიკანა მოღალატეების გვერდით დგას!

„კაცი არავინ, არსაიდან“ ახალი გზის ძიებაშია...

3

დემოკრატი ტოკაევი პარლამენტის როლს ზრდის!

8

ყაზახეთში დემოკრატია საიმედოდ მყარდება და საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობები რეკორდულად იზრდება

ვიქტორ ორბანი:

ჩვენ გვჭირდება საქართველო ევროკავშირში!..



იხ. 2 გვ.

საქართველო საერთაშორისო მნიშვნელობის ფუნქციას იძენს

ნედ პრაისი: მსოფლიომ იცის რუსეთის აგრესია მეზობელ ქვეყნებში!

ვაშინგტონი, მსოფლიომ იცის რუსეთის ისტორია, როდესაც საქმე ეხება მის მეზობლებსა და სამეზობლოს. რუსეთი 2008 წელს შეიჭრა საქართველოში და მისი ჯერ კიდევ მიმდინარე, სასტიკი შეჭრა უკრაინაში ცხადყოფს, რომ მოსკოვი ნაკლებად სცემს პატივს მეზობლების სუვერენიტეტს — ის არ არის სანდო, გრძელვადიანი პარტნიორი, — ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა, ნედ პრაისმა ბრიფინგზე განაცხადა. სამხრეთ კავკასიაში არსებულ ვითარებასა და აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული დაძაბულობის შესახებ დასმული კითხვის პასუხად, პრაისმა განაცხადა, რომ აშშ ორივე ქვეყნის პარტნიორია და ეს არც სამომავლოდ შეიცვლება.

„სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის, მათ შორის სომხეთისა და აზერბაიჯანის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისთვის, აშშ-ზე დიდი მხარდამჭერი არ არსებობს. როდესაც ჩვენ ურთიერთობა გვაქვს სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ჩვენ ამას ვაკეთებთ მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით: ბოლო მოეღოს ძალადობას და ეს ქვეყნები გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი მშვიდობის გზაზე დადგნენ. ჩვენ ამ ქვეყნებს მოვუწოდეთ, რომ ისინი უნდა შეხვდნენ იმ ფორმატში, რომელიც მათთვის ყველაზე სასარგებლოა. გვწამს, რომ პირდაპირი დიალოგი სასარგებლოა საკითხების გადასაჭრელად და ამ ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად.“

თბილისის მერიის საგანგებო განცხადება

„გვინდა, გამოვეხმაუროთ რიგი მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს თბილისის მერიამ „მოძალადეების უსაფრთხოების წინააღმდეგ“ საძალადო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და პროცესი მოიგო.

მათი თქმით, **საუბარია თბილისის ზღვაზე, ე.წ. ჩანჩქერთან უსაფრთხოების ჯებირების მოწყობის ვალდებულებაზე, რომელიც სააპელაციო სასამართლომ მოუხსნა თბილისის მუნიციპალიტეტს.**

საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, განვმარტავთ, რომ თბილისის მერიას „მოქალაქეების უსაფრთხოების წინააღმდეგ“ არასდროს გადაუდგამს არც ერთი ნაბიჯი. ტერიტორია, სადაც ჯებირების განთავსება იყო მოთხოვნილი, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ, უსაფრთხოებისთვის უკვე ორ წელიწადზე მეტია, შემოსაზღვრულია ღობით და განთავსებულია გამაფრთხილებელი აბრები. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ თბილისის მუნიციპალიტეტს მოუხსნა პასუხისმგებლობა აღნიშნულ საკითხზე. გარკვეული მედიასაშუალებების მიერ საკითხის ისე წარმოჩენა, თითქოს თბილისის მერია უსაფრთხოების ზომების გატარების წინააღმდეგია, წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ დეზინფორმაციის დანერგვის მცდელობას და მიზნად ისახავს უწყების დისკრედიტაციას“.

ქუთაისის უნივერსიტეტს საპატიო პრეზიდენტი ვოლფგანგ ჰერმანი სტუმრობდა

პროფესორი ვოლფგანგ ჰერმანი 25 წლის განმავლობაში მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტს ხელმძღვანელობდა, ახლა კი საკუთარ გამოცდილებას სტუდენტებსა და ადმინისტრაციას უზიარებს.

ვოლფგანგ ჰერმანი ქუთაისს ინოვაციების პირველი საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმის ფარგლებში სტუმრობდა. პროფესორი პირადად არის ჩართული სასწავლებლის სტრატეგიის შემუშავებასა და მართვაში.

ჰააგაში უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექიმების ყოველწლიური შეკრება გაიმართა

ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩომ, ქ. ჰააგაში დიასპორული ორგანიზაციის — „ქართული საერთაშორისო სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოციაცია (GIMPHA)“ ყოველწლიურ შეკრებას უმასპინძლა, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვლადიმერ კონსტანტინიდი და საქართველოს ჯანმრთელობის, შრომის და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოს უფროსი ლიანა ჭუმბურიძე დაესწრნენ.

ღონისძიების ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარე პროექტები, იმსჯელეს საქართველოს ჯანდაცვის სფეროს განვითარებაში საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი პროფესიონალების პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობებსა და სამომავლო გეგმებზე.

აღსანიშნავია, რომ ქართული საერთაშორისო სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოციაცია (GIMPHA) 2012 წელს დაარსდა. ეს არის ნიდერლანდების სამეფოში რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და პარტნიორობას უწევს საქართველოს მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ არაერთ დაწესებულებას. ის აერთიანებს ქართველ ექიმებს მთელი მსოფლიოდან, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობენ.

ასოციაცია GIMPHA საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოში კოლეგებთან ერთად მუშაობს პროექტზე, რომლის ფარგლებში იგეგმება უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექიმების უფრო მეტად ჩართვა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში.

ვიქტორ ორბანი:
ჩვენ გვჭირდება საქართველო ევროკავშირში!..

საქართველო სატრანზიტო დერეფნის ფუნქციას იძენს. ვიქტორ ორბანმა და ირაკლი ღარიბაშვილმა ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების გზებზე და ახალ ენერგოპროექტებზე პირისპირ, გაფართოებულ ფორმატებში იმსჯელეს. უნგრეთის პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ენერგიის წყაროების დივერსიფიკაცია ევროპის ენერგოკრიზისიდან ერთადერთი გამოსავალია.

უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო შექმნილი ენერგოკრიზისის ფონზე, ევროპა ენერგორესურსების დივერსიფიცირებას, ახალი მომწოდებლებისა და მარშრუტების მოძებნას ცდილობს. მათ შორის არის ევროკავშირის წევრი უნგრეთი, რომელიც აზერბაიჯანიდან ენერგიის შემოტანას საქართველოს გავლით აპირებს. თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი აცხადებს, რომ ანკარა რუსული გაზის ევროპაში განაწილებას „თურქული ნაკადის“ გავლით უზრუნველყოფს. ერდოღანის თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთთან მოლაპარაკების შემდეგ მიიღეს.

ანალიტიკოსების შეფასებით, საქართველოს სატრანზიტო ქვეყნის ფუნქცია დამატებით სარგებელს მოუტანს. ზაალ ანჯაფარიძე ფიქრობს, რომ ეს არის ერთგვარი სტიმული საქართველოსთვის, რომ გახდეს ევროპისთვის და არა მარტო ევროპისთვის მნიშვნელოვანი სატრანზიტო ენერგომიმწოდებელი. მისი თქმით, საქართველო საერთაშორისო დანიშნულებას იძენს.

„ქვეყანა იძენს საერთაშორისო მნიშვნელოვან ფუნქციას, რაც ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს იყო ჩაფიქრებული — საქართველო გამხდარიყო ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყანა და მიეღო შემოსავლები, ყოფილიყო საერთაშორისო აქტორების ყურადღების ცენტრში და ყოფილიყო დაცული. როდესაც შენი ტერიტორიის გავლით მიდის ენერგომატარებლები ევროპაში, ის არ დაუშვებს, რომ შენს ტერიტორიაზე ომი გაჩაღდეს.

გარდა ამისა, ეს იწვევს იმას, რომ აშენდეს თანამედროვე ინფრასტრუქტურა იმისათვის, რომ ენერგომატარებლების გატარება მოხდეს უსაფრთხოდ, სტანდარტების დაცვით. ეს არის დამატებითი სარგებელი და ა.შ. ანუ, ბევრი პარამეტრით შეუძლია საქართველოს სარგებელი მიიღოს. თუმცა, არის გარკვეული საფრთხეები. ამან შეიძლება გამოიწვიოს უცხოელი მუშახელის დიდი რაოდენობით შემოდინება, რაც გარკვეულწილად, დემოგრაფიულ სურათზეც იმოქმედებს“, — აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

ექსპერტი **ანდრია გვიდიანი** ამბობს, რომ ნებისმიერ საერთაშორისო ენერგეტიკულ პროექტში საქართველოს მონაწილეობა არის საქართველოს ენერგოუსაფრთხოების, მათ შორის განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა. პოლიტიკური სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

„საქართველო ხდება ევროკავშირის პირდაპირი პარტნიორი იმ შემთხვევაში, თუ საქართველოზე გაივლის ევროკავშირისთვის განკუთვნილი ენერგორესურსების მოცულობები. შესაბამისად, ეს არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების თვალსაზრისით“, — განაცხადა **ანდრია გვიდიანმა.**

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც უნგრეთის პრემიერმა ისაუბრა, ეს არის ბრიუსელის გადაწყვეტილება. ვიქტორ ორბანის განცხადებით, უნგრეთი კარგ გადაწყვეტილებად თვლის მოლდოვასა და უკრაინისთვის წევრობის შეთავაზებას და ამავე დროს, მიუღებელი და ამორალურია საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატობაზე უარის თქმა.

„მაშინ, როდესაც ევროკავშირმა კარგი გადაწყვეტილება მიიღო მოლდოვასა და უკრაინისთვის წევრობის შეთავაზებით, ბრიუსელმა საქართველო უკან მოიტოვა. ეს მიუღებელი და ამორალურია. ჩვენ გვჭირდება საქართველო ევროკავშირში!“, — აცხადებს **ვიქტორ ორბანი.**

ევროკომისიის პრეზიდენტმა **ურსულა ფონ დერ ლაიენმა** კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ახლა სწრაფი ცვლილებების დროა დასავლეთ ბალკანეთსა და ევროპაში. მისი თქმით, ახლა არის ახალი მომენტი, რომელიც ევროპულ ოჯახს უფრო აახლოებს.

„როგორც იცით, ჩვენ დავიწყეთ გაწევრიანების მოლაპარაკებები ალბანეთთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან. ჩვენ ასევე მივეცით კანდიდატის სტატუსი უკრაინასა და მოლდოვას და ვაღიარეთ საქართველოს ევროპული პერსპექტივა. ახლა ახალი მომენტია, ცვლილების ქარია, რომელიც ევროპულ ოჯახს აახლოებს“, — აღნიშნა **ფონ დერ ლაიენმა.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, **მაკა ბოჭორიშვილის** განცხადებით, პარტნიორი ქვეყნების დიდი ნაწილი ძალიან კარგად აცნობიერებს, რა შესაძლებლობები შეიძლება გაუხსნას ევროკავშირს საქართველოსთან პარტნიორობამ და საქართველოს ევროკავშირში წევრობამ.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი ჩვენს ურთიერთობებში ევროკავშირთან იმისთვის, რომ სწორად და კარგად იყოს გამოყენებული როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროკავშირისთვის ის გეოპოლიტიკა, გეოგრაფიული მდებარეობა და მისწრაფებები, რაც საქართველოს აქვს“, — განაცხადა **მაკა ბოჭორიშვილმა.**

გიორგი გახარია ისევ ჭორიკანა მოღალატეების გვერდით დგას!

პოლიტიკურ ფლანგზე თითქმის მივიწყებას მიცემული ყოფილი პრემიერი გიორგი გახარია მოულოდნელად, „ტვიტერზე“ განცხადებით გამოჩნდა. მან ამერიკის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის განცხადება გამოაქვეყნა, სადაც მდივანი წერს, რომ ამერიკა სანქციებს უწესებს ვლადიმერ პლახოტნიუკს, ილან შორს და 19 სხვა ფიზიკურ პირს და ორგანიზაციას, რომლებიც დაკავშირებული არიან სისტემურ კორუფციასთან და კრემლთან დაკავშირებულ არჩევნებში ჩარევასთან მოლდოვაში, რასაც გახარიას მინაწერი აგვირგვინებს: „დემოკრატიის უდიდესი მბერია კორუფცია და ოლიგარქია. ორივე ანადგურებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, სპობს დემოკრატიას და კლავს მომავლის იმედს. ორივე უნდა დამარცხდეს საქართველოში!“

როდის გახდა ბიძინა ივანიშვილი გახარიასთვის ოლიგარქი? – ეს არის კითხვა, რომელიც მისი განცხადების შემდეგ ლოგიკურად ჩნდება. გამოდის, გახარიამ ვერც მინისტრის პოსტიდან და ვერ პრემიერობის დროს ვერ აღმოაჩინა, რომ ივანიშვილი „ოლიგარქი“ იყო და ქვეყანაში კორუფცია ყვაოდა. რა არის ამ განცხადების რეალური მიზანი და ივანიშვილის დასანაქცირების საფრთხის პარალელურად, რატომ ჩნდება მოულოდნელად იმ პირის განცხადება, რომლის ნათქვამს სხვა, ყველა ოპოზიციურ პარტიაზე მეტი დამაჯერებლობა აქვს?

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** მიიჩნევს, რომ მას შემდეგ, რაც გახარიამ პოლიტიკურ ეშმაკებს სული მიჰყიდა, მისგან გასაკვირი არაფერია. ქართველიშვილი ამბობს, რომ საინტერესოა გახარიას მიღმა საქართველომ ოლიგარქის აღმოცენება ან კორუფცია როდის მოასწრო, როცა მისი პრემიერობის დროს ქვეყანაში ოლიგარქები არ იყვნენ?! წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მინისტრის პორტფელი არ უნდა დაეკავებინა და ერთხელ მაინც პროტესტი გამოეთქვა. ამიტომ ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ გახარია ამ განცხადებით საკუთარი თავის წინააღმდეგ მიდის და ემსგავსება იმ უპრინციპო ოპოზიციურ ლიდერებს, რომლებიც ხალხმა სწორედ ამის გამო პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა.

„გახარიას სახით ბესელიას, გოგიჩაიშვილს, სანიკიძეს და ა.შ. კარგი შენაძენი აქვთ. ივანიშვილმა ეს ხალხი პოლიტიკოსებად აქცია, ყველას შანსი მისცა, ენდო. ზოგი მოსკოვიდან ჩამოიყვანა, ზოგი ამერიკიდან, ზოგი სოფლიდან და ზოგიც თბილისში იპოვა, ყველას პოლიტიკური განვითარების შანსი მისცა, ხალხის წინაშე წარადგინა და პოლიტიკოსების სახე მისცა. უნდოდა, რომ სახელმწიფოს და ხალხს გამოდგომოდნენ, სამშობლოს მიმართ სიყვარული და პატრიოტიზმი ჰქონოდათ.

თუმცა ამდენი მედროვე და პოლიტიკური ბალასტი, საქართველოს თუ ეყოლებოდა, ვერავინ წარმოიდგენდა და, როგორც ჩანს, ამის დანახვაც საჭირო იყო. ამიტომ ივანიშვილს ამაშიც კი ვერ დავადანაშაულებ – მოღალატეებად თავად ჩამოყალიბდნენ და ადამიანი რაც ხარ, ვერაფერი და ვერავინ გიშველის. შანსი აბსოლუტურად ყველას მიეცა. სამარცხვინოა გახარიას განცხადება. კაცი არავინ, არსაიდან, თითქმის საქართველოში ყველა სამინისტროს პორტფელს იკავებდა, პოლიტიკური განვითარების ძალიან დიდი შანსი მისცეს, თუმცა დღეს ეს ადამიანი იმ ჭორიკნების და მოღალატეების გვერდით დადგა, რომლებიც მამამარჩენალს შემოუბრუნდნენ და ათას სისაძაგლეს აბრალებენ“, – ამბობს ქართველიშვილი.

ჩნდება თუ არა ეჭვი, რომ გახარიამ ეს განცხადება მიზანმიმართულად გააკეთა, რათა ამერიკაში შეხვედრების დროს კონკრეტული მიზნისთვის სჭირდებოდა? – ქართველიშვილი ამბობს, რომ ერთადერთი, გახარიას რაც შერჩა, ეს ყოფილი პრემიერობაა, დანარჩენი – პარტია და პოლიტიკური მოღვაწეობა კრახით დასრულდა. ამიტომ მის ნათქვამს, როგორც ივანიშვილთან წარსულში დაახლოებულ პირს, მეტი დამაჯერებლობა ექნება და პოლიტიკურად მივიწყებული ამ ფორმით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ გააქტიურებას ცდილობს.

„გახარიამ ის როლი, რაც მას დააკისრეს, რომ „ოცნებისთვის“ შარშან არჩევნებში ხმები უნდა წაერთმია, ნაწილობრივ შეასრულა, მაგრამ საბოლოო ჯამში, მაინც ვერაფერი გამოუვიდა. ერთადერთი ფუნქცია, რაც მას შერჩა, ესაა ბრენდი, რომ ის ექს-პრემიერ მინისტრია. უბრალოდ, მისი პირიდან ივანიშვილის მისამართით გასროლილი ბრალდება, ამერიკაში იქნება თუ ბრიუსელში, ასე თუ ისე, შესაძლოა, ფასეული იყოს. ე.ი. ამას ლაპარაკობს არა ვიღაც ბლოგერი და ოპოზიციონერი, არამედ ამას ყოფილი პრემიერ-მინისტრი ამბობს. მის ნათქვამს მეტი დამაჯერებლობა აქვს.

ალბათ, აი, ამ ვიზიტის დროს, კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ ისეთი ოდიოზური ფიგურის შესახებ, როგორიც უკრაინაში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი მაკფონია. ეს ადამიანი თითქოს იმ საუშაო ჯგუფშია და მესაჭეა, რომელიც საერთაშორისო სანქციებში შესაყვანან სიაზე მუშაობს. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ ივანიშვილის ნათესავები შეიყვანეს სანქციების სიაში, შემდეგ კი ისიც შემოგვაძახეს, რომ შემდეგი ივანიშვილი იქნება. დღეს კიდევ ადგილობრივი მოღალატე გახარია, ამ „დამაჯერებელ“ ბრალდებას დასავლეთისთვის აჟღერებს“, – ამბობს ქართველიშვილი.

შექმნილი ვითარება გვაფიქრებინებს, თითქოს ივანიშვილის წინააღმდეგ ახალი შეთქმულება მზადდება, რომელშიც გიორგი გახარიას შესაძლოა მნიშვნელოვანი როლიც დაეკისროს, ხოლო თავისი განცხადებით მინიშნება სწორედ ამაზე გააკეთა. ამ შემთხვევაში, არც ისაა გამორიცხული, გახარიამ ივანიშვილის წინააღმდეგ კიდევ სხვა ბრალდებები უკვე კარს მიღმა გააჟღერა ამერიკაში. ნებისმიერ შემთხვევაში, არავინ იცის ივანიშვილის დასანაქცირების მრავალთვიანი მცდელობა როგორ შეიძლება დასრულდეს, თუმცა როგორც ქართველიშვილი ამბობს სერიოზულ მცდელობად გახარიას ეს განცახდება ჩაეთვლება და ამას აუცილებლად დაუფასებენ.

* * *

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** კი გიორგი გახარიას და მისი პარტიის რეიტინგზე ამახვილებს ყურადღებას, რაც NDI-ის ბოლო კვლევებით გამოჩნდა, როცა ეს უკანასკნელი პოლიტიკურ რადარებზეც არ ჩანდა. აბაშიძე ამით ხსნის გახარიას „ბრიყვულ განცხადებას“.

„გახარიამ და მისმა თანაპარტიელმა ნათია მეზვრიშვილმა თავი ძალიან შეირცხვინეს, როდესაც საუბარი ე.წ. ოლიგარქიაზე და კორუფციაზე დაიწყეს. საზოგადოებაში ძალიან ლოგიკური შეკითხვა გაჩნდა, ეს ოლიგარქი და კორუფცია როდის გამოჩნდა – 2021 წლის 18 თებერვლის შემდეგ, როცა გახარია თანამდებობიდან გაიქცა? როდესაც ის მთავრობაში მუშაობდა, ბიზნესომბუდსმენი იყო, მაშინ ასეთი კორუფცია არ ხდებოდა? უბრალოდ, გახარიამ გაიმეორა დესტრუქციული ოპოზიციის გზავნილები. სწორედ ის ნათია მეზვრიშვილი იყო პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციაში და პირველი გვაუწყებდა ხოლმე საერთაშორისო რეიტინგებს. აკი საქართველოს პროგრესი იყო ღია მმართველობა, გამჭვირვალე ბიუჯეტი, კორუფციის უმდაბლესი დონე. ეს ანგარიშები გრძელდება, მიუხედავად იმისა ნათია მეზვრიშვილი ხელისუფლებაშია თუ ოპოზიციაშია.

სწორედ ეს არის დესტრუქციული ოპოზიციის აბსურდული ყოფა!, რომ აბსოლუტურად არათანმიმდევრულები არიან. აცდენილები არიან საზოგადოების განწყობებს. საერთაშორისო კვლევებს არ ეცნობიან, რომლებიც აბსოლუტურად მიუკერძოებელია და ექსპერტულად საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას აფასებს. ამიტომ დასანანია, რომ თავიდან გახარიას მომხრეებს ეგონათ მესამე ძალა გამოჩნდა, მაგრამ რეალობა ის აღმოჩნდა, რომ გახარია მოღალატე და მატყუარაა. ამ ცრუპენტელობით გახარია იქცა იმ უსახურ პოლიტიკოსად, როგორიც „ოცნებიდან“ გაქცეული სხვა პოლიტიკოსები არიან“, – ამბობს გია აბაშიძე და თვლის, რომ მოღალატისგან გამორიცხული არაფერია.

შესაძლოა, ის ვაშაძეს, ჯაფარიძეს და ხოშტარიასაც კი შეუერთდეს, ვოიაჟები კიევში დაიწყოს და ივანიშვილის გარემოცვაზე ე.წ. სანქციების დაწესება მოითხოვოს. სწორედ ამიტომ, გახარია სასოწარკვეთილი, დესტრუქციული ნაოპოზიციის კლასტერშია.

ლიკა ბერიკაშვილი

თაკო ჩარკვიანი:
რამდენი მოღალატე, ავადმყოფურად ამბიციური და ბოღმიანი ჰყოლია გვერდით სააკაშვილს, ერთ მხარეს ბურჯანაძე და იქით ბოკერია

ოპოზიციონერი დეპუტატი, თაკო ჩარკვიანი სოციალურ ქსელში წერს, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს გვერდით მოღალატეები ჰყავდა, მათ შორის კი იყვნენ ნინო ბურჯანაძე და გიგა ბოკერია.

„ახლა ვსაუბრობთ და მინდა, ხმამაღლა გაგიზიაროთ, გუშინ ერთმა გონიერმა ებრაელმა მითხრა: საქართველოში კაცს როგორ უნდა გაუჭირდესო, როგორ უნდა მოშივდეთ ბავშვებსო, ასეთი მიწა და ასეთი წყალი გაქვთო, მხოლოდ ეს საკმარისია იმისთვის, რომ მხოლოდ ამიტომ მოსთხოვოს ხალხმა პასუხი ხელისუფლებასო, ჩვენ ებრაელებს უდაბნო გვაქვს და ოაზისად, სამოთხედ ვაქციეთო, მართალია ეს ყველამ ერთად გავაკეთეთო, ამას რას ვხედავ, ტირილი მინდაო (ძველი თბილისელია).

ჰოდა, ახლა ხომ ვხედავთ რა გაუკეთებია იმ კაცს, სააკაშვილი რომ ჰქვია და ციხეში კვდება (კლავენ), არ დამიწყოს ახლა ვინმემ დანაშაულები იყო ციხეში და სისტემაშიო. დიახ იყო და მახსოვს და იმიტომაც ვიყავი ოპოზიციაში, უკაცრავად და 2002 წელს ოჯახს ტროტილი ამოგვიდეს და მანქანა ააფეთქეს მძღოლიანად (თბილისის დინამოს უკავშირდებოდა საქმე) და მაშინ არ იყო დანაშაულები? ზუსტად იმ წლებში შემოვარდნები პირდაპირ სახლში (ორი ოპერაცია აქვს ჩემს მეუღლეს სწორედ ამ თავდასხმების გამო, ბიზნესის დაუფლების გამო თავს ესხმოდნენ პოლიციის მიერ „დაკრიშული“ ბანდფორმირებები, ჯგუფები), დიახ, შინაგან სამინისტროს მიერ დაცული ბანდიტები, ვისთვის მომეთხოვა პასუხი შევარდნაძისთვის?

ვერა, ვერ მოვთხოვდი, რადგან ნავთობსადენის გამო (როგორც კი გააკეთა) თავად შევარდნაძე ააფეთქეს და შემდეგ დილის 6 საათზე ელცინმა დაურეკა და უთხრა: „რად გინდა ეს ნავთობსადენი, დაანებე თავიო“, ეს ფაქტია.

ასე იყო და დღესაც ასეა, გვებრძვის რუსეთი და ყველა პრეზიდენტს ებრძოდა და ამ ყველაფერში გამყიდველი ქართველები ჰყავდა ჩართული, ახლა ხომ ჩანს რამდენი მოღალატე, ავადმყოფურად ამბიციური და ბოღმიანი ჰყოლია გვერდით სააკაშვილს, ერთ მხარეს ბურჯანაძე (პირდაპირ ღიად მოღალატე, ხომ წარმოგიდგენიათ რას სჩადიოდა მაშინ) და იქით ბოკერია (უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელად) როგორია? ჰოდა, ნუ მოვაკვლევინებთ მესამე პრეზიდენტს, რომელმაც თურმე თანამედროვე სახელმწიფო შექმნა. მაგრად იყავი, პრეზიდენტო, ყველაფერი ღირსეულად დამთავრდება, ასე არ დაეცემა ქართველი, რომ პრეზიდენტების მკვლელთა სახელმწიფოდ ვიქცეთ“...

რატომ არის ამდენი უკანონო იარაღი ხალხში?!

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს და გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოების, სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს – დაკავებულია 6 პირი, – ინფორმაციას შსს ავრცელებს.

დაკავებულებს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა და ტარება ედებათ ბრალად.

„ქართულ ოცნებას“ პროპაგანდისტული მანქანა არა აქვს!

„არ მისცეთ საქართველოს კანდიდატის სტატუსი“! – რადიკალური ოპოზიცია ცდილობს ევროპელი პარტნიორების დარწმუნებას, რომ საქართველომ კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს, რადგან საქართველოს ჰყავს „პრორუსული ხელისუფლება“. ოპოზიციის არგუმენტები რომ უსუსურია, ამის შესახებ საუბრობს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, რომლის განცხადებით, ოპოზიციის პროპაგანდისტული მანქანა მუშაობს. მისი თქმით, ბრალდების საპირისპიროდ, ხელისუფლებაც უნდა ისროდეს თავისი პოზიციის გამყარების მესიჯებს, მაგრამ არ აკეთებს.

ამ ომის პირობებში საქართველო საჭირო ხდება ევროპისთვის!

– „ქართული ოცნება“ ევროპარლამენტისგან უმძიმეს და უმკაცრეს რეზოლუციას მიიღებს“, – ასეთი დასკვნა ჩამოიტანეს ბრიუსელიდან გიორგი ვაშაძემ და ზურაბ ჯაფარიძემ, რომლებმაც მთავარი გზავნილი რაც ჩაიტანეს არის ის, რომ საქართველოში „მეფობს“ ავტორიტარული მმართველობა და, რომ არ შეიძლება მას მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი. ყოველ შემთხვევაში, ისინი წინასწარ აანონსებენ რა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს ბრიუსელმა. ოპოზიცია რომ მავნებლობს ამას წლებია ვხედავთ, მაგრამ ამ შემთხვევაში რასაც ვაკვირდებით, ბატონო რამაზ, ეს მხოლოდ მავნებლობაა?

– ოპოზიციას რომ ჩავეკითხოთ და მათ გულახდილად გვიპასუხონ, ალბათ, იტყვიან, რომ ჩვენ ევროპის მიმართულებას კი არ ვკეტავთ, უბრალოდ, გვინდა ჩვენ დავაყენოთ საქართველო ამ გზაზე. როგორც თვითონ ამბობენ, ეს ავტორიტარული ხელისუფლება არ უნდა გაძლიერდეს. ფაქტია, ამ შემთხვევაში, ხელისუფლების ნებისმიერი პოზიტიური ნაბიჯი წარმატებით ჩაითვლება ევროპის მხრიდან. ამიტომ, ოპოზიცია ამბობს, რომ ვებრძვით ავტორიტარიზმს და რომ არ გაძლიერდეს, ამიტომ ვაკეთებთ იგივეს, რასაც ადრე ვაკეთებდითო.

სხვათა შორის, თუ დავაკვირდებით, დაახლოებით იგივე ხდება აზერბაიჯანში. აზერბაიჯანს ხელი გაუწოდა და თხოვნითაც მიმართა ევროპამ, რომ გაზი და ნავთობი მიაწოდოს რუსეთის გვერდის ავლით ევროპას და გახდეს ალტერნატიული მიმწოდებელი ენერგომატარებლების. აზერბაიჯანისთვის ეს კარგია, მაგრამ ოპოზიცია გამოვიდა და აპროტესტებს, რომ აი, ევროპა ღალატობს თავის პრინციპებს და ადამიანთა უფლებები ანაცვალა ენერგომატარებლებსო და თანახმაა, დაირღვეს ეს უფლებები, ოღონდ ენერგომატარებლები მიიღონო.

იქაც იტყვის ალიევის მომხრე ჯგუფი, ან თვითონ ალიევი, რომ ოპოზიცია ამ შემთხვევაში ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიდის და არა მარტო ერთი პირის – ალიევის წინააღმდეგ. ასე რომ, ხშირია შემთხვევა, როდესაც პოლიტიკურ ბრძოლაში თავდაკარგულ ოპოზიციას ავიწყდება, რისთვის იბრძოლოს.

– რამდენად შეიძლება გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს ჩამშვებმა გზავნილებმა გადაწყვეტილების მიღებაზე?

– მეეჭვება. აზერბაიჯანის მაგალითი კარგია იმ მხრივ, რომ ევროპა საკმაოდ პრაგმატული იყო ყოველთვის და ახლაც არის. ევროპას მძიმე შენიშვნები ჰქონდა აზერბაიჯანის მიმართ ასევე ავტორიტარიზმის მიმართულებით, მაგრამ როგორც კი აზერბაიჯანი მისთვის საჭირო აღმოჩნდა როგორც ენერგომატარებლის მიმწოდებელი სახელმწიფო, დავიწყდა ეს შენიშვნები და გაუწოდა ხელი. ანალოგიურად, საქართველოშიც იგივე საკითხი დგას. აზერბაიჯანის გაზი და ნავთობი საქართველოთი უნდა გავიდეს ევროპისკენ. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ისევე, როგორც აზერბაიჯანის მიმართ მოხსნა პრეტენზიები ევროპამ, ასევე იქნება საქართველოს მიმართაც.

მიდის დიდი მსოფლიო ომი და ამ მსოფლიო ომში ებრძვიან ერთ კონკრეტულ ძალას, ისევე, როგორც ერთმანეთთან პრეტენზიები ჰქონდათ საბჭოთა კავშირს, ამერიკას და ინგლისს, მაგრამ ერთად დადგნენ იმიტომ, რომ ჰიტლერი დაემარცხებინათ. ახლაც ბევრი ისეთი სუბიექტი, რომელსაც შეიძლება ერთმანეთთან პრეტენზია ჰქონოდა, ვფიქრობ, ერთად დადგებიან იმისთვის, რომ პუტინი დაამარცხონ.

ვიმეორებ, შემოსული არის უკვე ბრძოლის კანონები, ომის კანონები, სადაც ამა თუ იმ მხარეს არ აქვს იმის უფლება, რომ ისეთი დათმობები გააკეთოს, სადაც რუსეთი შეიძლება მოგებული დარჩეს. ყველამ უნდა გადადგას ის ნაბიჯი, რომელიც რუსეთს შეუმცირებს მოქმედების არეალს. ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი არის ხელშეწყობა საქართველოსთვის, რათა მან აღმოსავლეთიდან წამოსული ტრანზიტები და ენერგომატარებლები გაატაროს ევროპისაკენ. ამ ომის პირობებში საქართველო საჭირო ხდება ევროპისთვის.

– ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც ჩვენ ვაკვირდებით ოპოზიციის აბსურდულ კამპანიას ქვეყნის წინააღმდეგ. მათი ლოგიკა ასეთია – კანდიდატის სტატუსის მინიჭება ქვეყნისთვის ეს იქნება ხელისუფლების გაძლიერება და ყველაფერი, რაც აძლიერებს ხელისუფლებას, არის ცუდი, რადგან ეს არის პრორუსული ხელისუფლება. ამიტომ საქართველომ არ უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი – ძალიან ალოგიკური ბრალდებები ისმის...

– არალოგიკურია ეს ბრალდებები იმ ფონზე, რომ პრორუსულობის ერთი არგუმენტიც არ აქვთ. სულ ამაზეა ლაპარაკი და ახლა უკრაინელებს სთხოვენ, რომ თუ ვართ პრორუსული, მაშინ გვითხარით, რაში ვეხმარებით რუსეთს, მოიტანეთ ფაქტიო, მაგრამ არ იძლევიან ამ ფაქტს. მთლიანად ბლეფზეა აგებული ბრალდება – რასაც ჰქვია ქართული ხელისუფლების პრორუსობა. ევროპის წინაშე რამეთი ხომ უნდა გაამართლონ ეს ნაბიჯი, რატომ იბრძვიან ხელისუფლების წინააღმდეგ.

– ხელისუფლებამ ამ შემთხვევაში რა არგუმენტებით უნდა უპასუხოს ოპოზიციის ამ ბრალდებას? ცხადია, რომ ძლიერი ბერკეტით არ უპირისპირდება ოპოზიციას, რაც მათ აძლევს მავნებლობის საშუალებას...

– გეთანხმებით, რომ არგუმენტების უფრო ძლიერი სისტემა არის მოსატანი. სულ არ აქვს არგუმენტები ოპოზიციას, რომ ხელისუფლება პრორუსია, მაგრამ ყოველ მეორე წუთას ამის გამეორებით შედეგს იღებს და ეს ფრაზა – „ხელისუფლება პრორუსია“ ბევრის ტვინში რჩება. ამავე სიხშირით არის გასაკეთებელი და საჩვენებელი ის არგუმენტები, რომლებიც ამხელენ უკვე ოპოზიციურ ჯგუფებს. 4 წელიწადში ერთხელ საარჩევნოდ გაიელვებს რამდენი ობიექტი გადასცა რუსეთს „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ახლა დავითვალოთ დღეში რამდენჯერ გაიძახიან „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, რომ „ქართული ოცნება“ არის პრორუსული პარტია! შეუთავსებლად დიდი რაოდენობაა. ეს ნიშნავს, რომ **„ქართულ ოცნებას“ პროპაგანდისტული მანქანა არ აქვს.** ოპოზიციის პროპაგანდისტული მანქანა კი მუშაობს. აღარ ვლაპარაკობ იმაზე, არის თუ არა ლოგიკური. პროპაგანდისტული მანქანა უნდა დაიდოს და განუწყვეტლივ უნდა ისროდეს არგუმენტებს. რახან ფსიქოლოგიურ ომსაც ომი ჰქვია, ინფორმაციის გადასროლასაც ნაღმის სროლას ადარებენ და ეს ინფორმაციული ნაღმი განუწყვეტლივ უნდა ფეთქდებოდეს, როგორც ამას მოწინააღმდეგე მხარე აკეთებს. ხელისუფლებაც უნდა ისროდეს თავისი პოზიციის გამყარების მესიჯებს, მაგრამ ამას ხელისუფლება არ აკეთებს.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

ვახტანგ მეგრელიშვილი:

უნიჭოების გაერთიანება

„დენიმე პარტიას მოუწევს გადააზრება საკუთარი მდგომარეობის, მაგრამ ყველაფერი მაინც „ნაციონალურ მოძრაობაზე“ იქნება დამოკიდებული. ვიდრე ამ პარტიის ბედი რეალურად არ გაირკვევა, მანამდე მსგავსი მოძრაობები არაფერს ნიშნავს, რადგან ყველა ცდილობს, წარმოუდგინოს რეცხადებები ჰგავს „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე რადიკალური ფრთის განცხადებებს, რაც ნიშნავს, რომ ამ ჯგუფის სურვილია, „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე რადიკალური ჯგუფის ადგილი დაიკავოს.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ რომ გაჩნდა იდეა პრაიმერის თაობაზე, ამას ვეთანხმებოდი, რადგან ეს მართლა იქნებოდა პარტიების შოუ, სადაც თითოეულ პარტიას საკუთარი პოზიცია საზოგადოებისთვის უნდა გაეცნო. ახლა დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს რას ვეუბნებით? – „ნაციონალური მოძრაობა“ „ქართულ ოცნებას“ ეუბნება, რომ არიან მოღალატეები და კოლაბორაციულ ურთიერთობაში არიან ოკუპანტთან. ზუსტად ანალოგიური ბრალდებებია მეორე მხრიდან. შეუძლებელია, რომ ასეთი დაპირისპირებული მხარეები ოდესმე რაიმე კონკრეტულ თემაზე შეთანხმდნენ და თავის ამომრჩეველს აჩვენონ, რომ ისინი თანამშრომლობენ. მაშინ, გამოვა, რომ თანამშრომლობენ მტერთან. აქედან გამომდინარე, ამ სამეულის რადიკალური განცხადებები ჰგავს „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე რადიკალური ფრთის განცხადებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ჯგუფს სურვილი აქვს, დაიკავოს „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე რადიკალური ჯგუფის ადგილი. არ მგონია, ეს გამოუვიდეთ, რადგან ნიჭი არ ეყოფათ. ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერ საქმიანობაში ნიჭი სჭირდება“, – განაცხადა მეგრელიშვილმა.

კითხვაზე, „ვაშაძე, ხოშტარია და ჯაფარიძე უნიჭოები არიან?“, მეგრელიშვილმა განაცხადა:

„ძალიან უნიჭოები არიან. ხოშტარიას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭი არც მისთვის შემიმჩნევია, დანარჩენებს ვიცნობ. ვაშაძე და ჯაფარიძე, რა თქმა უნდა, უნიჭოები არიან. ადამიანებისთვის იმის დამტკიცება მიჭირდა, რომ ჯაფარიძე უნიჭოა, მაგრამ თავად დამეთანხმა. მაგალითად, ამის დამტკიცება იაგოსთვის მიჭირდა, მაგრამ რაც ჯაფარიძე დამეხმარა, მგონი, დაიჯერა“, – დასძინა ვახტანგ მეგრელიშვილმა.

მიწის მართვის ერთიანი სისტემის შექმნის აუცილებლობის შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ლევან დავითაშვილს;
საქართველოს იუსტიციის მინისტრს რატი ბრეგაძეს;
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს ოთარ შამუგიას

მრავალი წლის განმავლობაში, საქართველოს პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრის სახელზე გაგზავნილი წერილებით, დარგის სპეციალისტები ვითხოვდით შექმნილიყო, ანუ, აღდგენილიყო – „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება – მიწის მართვის სახელმწიფო სამსახური (საქართველოს პარლამენტის დადგენილება !488; 1996წ.13.11), რომელიც იფუნქციონირებდა (როგორც ყოფილი დეპარტამენტი) სამინისტროსთან გათანაბრებული უფლებებით.

ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტის დებულების თანახმად:

- **„დეპარტამენტი ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას, სახელმწიფო ზედამხედველობას და სახელმწიფოებრივ ზემოქმედებას საადგილმამულო ურთიერთობების, მიწის ფონდის გამოყენების სახელმწიფო რეგულირებისა და დარგთაშორის კოორდინაციის სფეროში.**
- **დეპარტამენტს დაქვემდებარებული დაწესებულებები ქმნიან <u>მიწის მართვის სისტემას.</u>**

დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

- **მიწის გამოყენებასთან დაკავშირებით დამუშავებული პროექტების ექსპერტიზა;**
- **<u>მიწის რესურსების მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბანკის შექმნა და ყოველწლიური სახელმწიფო ანგარიშის მომზადება (ყოველწლიური მიწის ბალანსი).</u>**

დიახ, სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, მაგრამ მიუხედავად კარგი დასაწყისისა, მისი შემდგომი განვითარების ნაცვლად რა მივიღეთ?

მთავრობამ მიწაზე კონტროლის პასუხისმგებლობის გადანაწილების გზით (კონტროლის აცილების მიზნით), იმოქმედა შეფარულად – 2004 წლის 11 თებერვლის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაუქმდა მიწის მართვის დეპარტამენტი და ფუნქციების ნაწილი (რეესტრი-რეგისტრაცია) გადავიდა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში, ხოლო დანარჩენი ფუნქციები ასევე გადანაწილდა სხვადასხვა დარგობრივ სამინისტროებზე.

* * *

დარგის სპეციალისტთა დასაბუთებული მოთხოვნების შედეგად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო“, მაგრამ, აქვე აუცილებლად აღსანიშნავია, რომ სამთავრობო სტრუქტურების შექმნა, გაუქმება, შეერთება და ა.შ., უნდა ხორციელდებოდეს სახელმწიფო საჭიროებებისა და აუცილებლობიდან გამომდინარე და არა საჩვენებელი, ვალის მოხდის (ვითომ მდგომარეობის გამოსწორების) მიზნით.

ამ შემთხვევაში ეს ეხება 2019 წელს შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოს“, რომელიც შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს (2013წ. 20,09) რეორგანიზაციის შედეგად (საქართველოს კანონი №4849-IIს:2506,2019წ).

ახლადშექმნილი „მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს“ დებულების თანახმად, **<u>მივიღეთ არა მიწის მართვის სამსახურის სისტემა, არამედ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი; ანუ, მივიღეთ მიწის ადმინისტრირების ორგანო და არა სისტემა.</u>**

აღნიშნული კარგად ჩანს სააგენტოს დებულებიდან:

„მუხლი 2, პუნქტი 1. სააგენტოს ფუნქციებია:

ა)მიწის ბალანსის შედგენა;

ბ)სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

გ)მიწათსარგებლობის სახელმწიფო მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომლობა.“

თუ აღნიშნულ ფუნქციებს პუნქტობრივად განვიხილავთ, შემდეგ დასკვნებს გამოვიტანთ:

ა) მიწის ბალანსის შედგენა შეუძლებელია მარტო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მონაცემების საფუძველზე, ვინაიდან მიწის ბალანსის შესადგენად უნდა ხდებოდეს ყოველწლიური აღრიცხვა და დაზუსტება (მუნიციპალიტეტის,ქვეყნის) მთლიან ფართობზე არსებული სხვადასხვა დანიშნულებისა და კატეგორიების მიწებისა – რამდენია სასოფლო-სამეურნეო მიწა კატეგორიების მიხედვით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და სხვა მიწები (გზები, ტყის ფონდი, წყლის ფონდი და ა.შ), რომელთა ყოველწლიური ანალიზი დაგვანახებს ნებისმიერ ცვლილებებს და მიმართულებებს.

<u>ბ) მიწის რესურსების აღრიცხვის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნისთვის</u> აუცილებელია ყოველ მუნიციპალიტეტში მუშაობდეს ერთი სპეციალისტი მაინც, რომელიც შექმნის სამოქმედო ტერიტორიის მონაცემთა ბაზას და მონიტორინგის შედეგად გააანალიზებ მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით ყოველწლიურ ცვლილებებს; ანუ, **<u>აუცილებელია შეიქმნას მიწის მონიტორინგის სამსახურის სისტემა</u>** – ერთიანი, მიწის განმკარგველი, ძლიერი სახელმწიფო ორგანო.

<u>გ) მიწათსარგებლობის სახელმწიფო მონიტორინგის,</u> სახელმწიფოს მიერ მიწის ფონდის განკარგვაზე ერთიანი კონტროლის და მიწის დანიშნულების შეცვლაზე სახელმწიფო ზედამხედველობის გამკაცრების მიზნით, აუცილებელია საქართველოს მთავრობასთან შეიქმნას მიწათსარგებლობის საკოორდინაციო საბჭო.

დღეის მდგომარეობით „მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო“ წარმატებით მუშაობს „ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამის“ და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების რაციონალური გამოყენების და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხებზე; მაგრამ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, აღნიშნული „ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება, ისევე როგორც საძოვრების რაციონალური გამოყენება, არ უნდა იყოს სააგენტოს არსებითი ფუნქცია. მისი მთავარი ამოცანა უმცირეს ვადებში ზემოთაღნიშნული ა) და გ) პუნქტებში მოცემული ფუნქციების შესრულება უნდა იყოს.

* * *

პროგლემის დასარეგულირებლად აქვე გთავაზობთ ცვლილებების პროექტს საქართველოს კანონში „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“.

პროექტი
ცვლილებები საქართველოს კანონში
„მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“

„მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

მუხლი 1. კანონის მე-7 მუხლს დაემატოს მე-8, 9 და 10 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

8. მიწასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების დასარეგულირებლად საქართველოს მთავრობასთან შეიქმნას მიწათსარეგებლობის საკოორდინაციო კომისია (საბჭო).

9. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გადაყვანა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობასთან შექმნილი მიწათსარგებლობის საკოორდინაციო კომისიის (საბჭო) თანხმობით.

10. მიწათსარგებლობის საკოორდინაციო კომისის (საბჭო) დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 3. კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში შეტანილი იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. „მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება საჯარო რეესტრში რეგისტრირდება“

მუხლი 4. კანონის მე-13-ე მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. საქართველოს მთავრობამ 2023 წლის თხუთმეტ აპრილამდე დადგენილებით განსაზღვროს მიწათსარგებლობის საკოორდინაციო კომისიის (საბჭო) მუდმივი წარმომადგენლების შემადგენლობა, დაამტკიცოს დებულება,

მუხლი 5. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის თხუთმეტი აპრილიდან.

თქვენდამი მიმართვას ერის დიდი მოძღვრის, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით ვასრულებთ: „ქვეყნის სიძლიერე ქართველის მიწასთან მარადიულ კავშირშია“.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა განუმეორებადი კულტურული ფასეულობაა. იგი, როგორც ერის სასიცოცხლო ბაზა, შთამომავლობას შეუმცირებლად უნდა დავუტოვოთ. ეს არის ვლდებულობა და პასუხისმგებლობა მომავალი თაობებისა და წინაპრების მიმართ.

პაატა კოლუაშვილი,
საქართველოს ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,

ჯუმბერ ფანჩულიძე,
ანზორ მესხიშვილი,
პროფესორები,
საერთაშორისო ექსპერტები „მიწის კადასტრი და მართვა“,

დავით ზარდიაშვილი,
მუნიციპალური სამართლის ექსპერტი;

დავით გალეგაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი

ახალი სპორტული მოედნები

გლდანის რაიონში, ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, სპორტული სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია გრძელდება. ამჯერად, მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე სამი სრულიად ახალი სპორტული მოედანი მოეწყო. კალათბურთის ერთი და ფეხბურთის ორი მოედანი სხვადასხვა მისამართზე განთავსდა. კალათბურთის მოედანი მუხიანის 4ა მიკრორაიონის №11-13-14 კორპუსებთან, ხოლო სკოლისა და წყაროს ქუჩებზე კი, ფეხბურთის მოედნები მოეწყო. სამივე მოედნის პროექტისთვის გამგეობის ბიუჯეტიდან 287 065 ლარი დაიხარჯა.

თუკი რუსეთი 24 თებერვალს წამოწყებული ე.წ. სპეცოპერაციის ერთ-ერთ მთავარ მიზნად უკრაინის დენაციფიკაციას ასახელებდა, ახლა, სამხედრო წარუმატებლობის ფონზე, ბრძოლას უკრაინის დესატანიზაციის ლოზუნგით აგრძელებს.

რუსეთის ხელისუფლებაში, ეკლესიაში, იდეოლოგების, პროპაგანდისტების ფლანგზე თუ არმიაში – უკვე შეხმატკბილებულად ლაპარაკობენ უკრაინაში სატანის მიმდევრების დევნისა და ანტიქრისტეს გამოჩენის წინააღმდეგ „წმინდა ომის“ აუცილებლობაზე.

მაგრამ პუტინის გეგმით წამოწყებული და პრობლემებით დამძიმებული ომისთვის ახალი, საკრალური შინაარსის მინიჭება, ექსპერტების თვალით, ჯერჯერობით ვერ ამართლებს. რუსი ორატორები ტერმინებსა და ცნებებში იბნევიან.

უკრაინის „დესატანიზაცია“

ეშმაკების დევნა

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის თანაშემწე, ალექსანდრ პავლოვი თავის სტატიაში წერს, რომ ე.წ. სპეციალური სამხედრო ოპერაციის ფარგლებში სულ უფრო აუცილებელი ხდება უკრაინის დესატანიზაცია. უკრაინელების სატანისტურ გამოვლინებებს კი ის – „რუსების დახოცვის მოწოდებებსა“ თუ „ჯადოს გაკეთებაში“ ხედავს.

პავლოვი წერს, რომ ეთანხმება ჩეჩნეთის ლიდერის, რამზან კადიროვის ინიციატივას უკრაინის „დეშაითანიზაციის“ შესახებ და თუკი საერთო სურათს გადავხედავთ, დესატანიზაციის ინიციატივა სრულ შესაბამისობაშია თავად პრეზიდენტ პუტინის, რუსეთის ეკლესიისა თუ კრემლის იდეოლოგების მესიჯებთან.

რუსეთის ხელისუფლებაში ღიად დაიწყეს ლაპარაკი, რომ, თითქოს, უკრიანაში მოქმედებს ასობით სექტა. ყველაზე სახიფათოდ – „სატანის ეკლესიას“ ასახელებენ. პავლოვის თანახმად, „სატანის ეკლესია“, თითქოს, აშშ-ში ოფიციალურად დარეგისტრირებული ეკლესიაა. თუმცა აზუსტებს, რომ სატანიზმში იგულისხება არა „კლასიკური“ ეშმაკის მორჩილება, არამედ ქრისტიანული დოგმებისგან თავისუფლება. რუსეთის უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი წერს, რომ უკრაინელებმა სატანის გზაზე სიარული 2013-2014 წლებში დაიწყეს, როცა რევოლუციის შემდეგ, თითქოს, უარი თქვეს „მრავალსაუკუნოვან ტრადიციებსა და ფასეულობებზე“.

რას ნიშნავს ეს?

ანალიტიკოსები, უკრაინასა თუ რუსეთში, თვლიან, რომ „სატანისტურ ძალებთან ბრძოლისა“ და „წმინდა ომის“ ლოზუნგების შემოღება რუსეთში პრობლემური და ხმაურიანი მობილიზაციის გამო გახდა აუცილებელი; მაშინ, როცა უკრაინაში დემილიტარიზაციისა და დენაციფიკაციის გეგმამ არ გაამართლა.

ტარას ზაგოროდნი – პოლიტტექნოლოგი და ექსპერტი, იუთუბარხ „თებერვლის დილას“ ეუბნება, რომ პუტინის მიერ წამოწყებული ომისთვის „ახალი შინაარსების“ მოძებნა გახდა საჭირო, რადგან ხალხის მასებში ბრძოლის ჟინი ვერ გააღვიძეს.

„შეაგროვეს ბევრი მობილიზებული ადამიანი და მათ შორის ბევრი აღმოჩნდა მუსლიმი... რუსეთის პროპაგანდა ცდილობს ამ ყველაფრის „წმინდა ომად“ წარმოჩენას (როგორც მეორე მსოფლიო ომის დროინდელ სიმღერაშია)... კადიროვმაც თქვა მუსლიმების გასაგონად – ეს „წმინდა ომიაო“, მაგრამ მუსლიმები ამბობენ – ჩვენი რწმენით, „წმინდა ომი“ ურწმუნოთა წინააღმდეგ ომიაო... მოკლედ, წარუმატებელი იქნება ეს მცდელობა. მათთვის (მუსლიმებისთვის) გაუგებრად რჩება, რატომ უნდა იომონ უკრაინაში, როცა ისტორიულად არასდროს ჰქონიათ მტრობა უკრაინელებთან“, – ამბობს ექსპერტი.

სპონტანური ცვლილებებისთვის მზად არ აღმოჩნდა თავად ის ხალხი, რომლისთვისაც „ომის ახალი შინაარსი“ მოიგონეს. კონფლიქტი ერთხელ უკვე იარაღის ძალით „გადაწყდა“ მას შემდეგ, რაც მობილიზებულთა მეთაურმა, „წმინდა ომის“ სახელით, მუსლიმების წინაშე ალაჰი შეურაცხყო. გავრცელებული ცნობებით, ბელგოროდის რაიონში, სოლოტის დასახლებაში მდებარე სამხედრო პოლიგონზე **13 ადამიანი დაიღუპა და 15 დაშავდა.** მოკლულთა შორის ეს მეთაურიც არის.

გავრცელებული ცნობებით, საომრად გაწვეულ სამ ჯარისკაცს – დაღესტნელს, აზერბაიჯანელსა და ადიღელს – უკვე მოსამზადებელ პოლიგონზე გადაყვანის შემდეგ უთქვამთ უარი ბრძოლაში ჩართვაზე – რადგან „ეს არ არის მათი ომი“. სამხედრო ნაწილის ერთ-ერთ მეთაურს, ვიცე-პოლკოვნიკ ანდრეი ლაპინს მათთვის აუხსნია – ეს „წმინდა ომია“ და, შესაბამისად, ყველას ომიაო. ეთნიკურად ტაჯიკი სამხედრო მას შეპასუხებია – „წმინდა ომი“ ნიშნავს მუსლიმების ომს ურწმუნოთა წინააღმდეგო. ამის შემდეგ, ვიცე-პოლკოვნიკს ალაჰისთვის „სუსტი“ და „მშიშარა“ უწოდებია.

უკრაინის დესატანიზაცია, სოციალურ ქსელებში, უკრაინელებს სახუმარო თემად ექცათ. **დეეშმაკიზაცია, დელუციფერიზაცია, დედემონიზაცია, დეანტიქრისტეზაცია** – უკრაინელები წერენ, რომ დღეს ყველაზე მეტად სწორედ უკრაინას სჭირდება პუტინის ბრძანებით შესეული ავი სულებისგან გათავისუფლება.

„ცისა და ჯოჯოხეთის ომი“ – პატრიარქი კირილი, დუგინი

25 ოქტომბერს, მსოფლიო რუსეთის სახალხო კრების 24-ე ყრილობაზე („მართლმადიდებლობა და მსოფლიო 21-ე საუკუნეში“), რუსეთის პატრიარქმა, კირილმა პრეზიდენტ პუტინს ანტიქრისტესთან მებრძოლი უწოდა.

მისი ლოგიკით – პუტინი ებრძვის ერთპოლუსიან მსოფლიოს და თუკი გლობალიზაცია გაიმარჯვებს, გამოჩნდება ანტიქრისტე, როგორც აპოკალიფსის წინაპირობა; სამყაროს დასასრულის შეჩერება კი მხოლოდ **„უმრავლესობის დიქტატურას“** შეუძლია, რომელიც ხმის უფლებას არ მისცემს უმცირესობას, მაგალითად – ლგბტ თემს.

„ბევრ დასავლურ ქვეყანას შურს, რომ რუსეთს ღიად მორწმუნე ლიდერი ჰყავს... დასავლეთში ხომ რწმენაზე ლაპარაკი არ არის მიღებული“, – პატრიარქ კირილის სიტყვებს რუსეთის მედია ავრცელებს.

ყრილობაზე ალექსანდრ დუგინიც გამოვიდა – ულტრანაციონალისტი იდეოლოგი და უკრაინაში რუსეთის შეჭრის ერთ-ერთ მთავარ არქიტექტორად მიჩნეული ფილოსოფოსი. მან თქვა, რომ უკრაინაში „ცისა და ჯოჯოხეთის ომი“ მიმდინარეობს. დუგინის საკრალური და ბევრისთვის უაზრო განზომილებებით, ეს ომი შესაძლოა კაცობრიობის ბოლო ომი იყოს და ღმერთის სახელით რუსეთმა უკან არ უნდა დაიხიოს.

„დღეს ერთმანეთს ეჯახება ორი იდეა... ანგელოზები და დემონები... ბრძოლის ველი ზუსტად უკრაინაა. ერთი მხრივ ვართ ჩვენ – წმინდა რუსეთი და ჩვენ წინააღმდეგ არის აბსოლუტური, ისტორიული, მსოფლიო ბოროტება... ამიტომ სულ უფრო ხშირად ვლაპარაკობთ არმაგედონზე, ჟამთა დასასრულზე და აპოკალიფსზე. ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ ხდება. ჩვენ ვმონაწილეობთ ბოლო, ან შესაძლოა – ბოლოს წინა, ძალიან მნიშვნელოვან ბრძოლაში... შეუძლებელია ომის მოგება სულიერი, იდეოლოგიური, ინტელექტუალური განზომილების გარეშე... შეუძლებელია ღმერთის დახმარების გარეშე მოვუგოთ მათ, ვისაც დღეს ჩვენ ვერბძვით“, – ამბობს დუგინი ემოციურად.

რუსი ანალიტიკოსები ხშირად ამბობენ, რომ მართლმადიდებელ პუტინს არაამქვეყნიური ბნელი ძალების სჯერა.

შამანებმა პუტინს უთხრეს, რომ „ხედავენ ცეცხლოვან ჩიტს, რომელსაც მოაქვს – ნგრევა, სიკვდილი და გამარჯვება“, მაგრამ არ დააკონკრეტეს – ვისთვის მოაქვს ეს ყველაფერი.

რადგან უკრაინასთან ომში მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანები არ არიან გაწვეული, დუგინი შეეცადა, რომ რაღაცნაირად სხვა კონფესიებიც ეხსენებინა:

„ჩვენ ვერასდროს გავიმარჯვებთ, თუკი არ შევინარჩუნებთ ჭეშმარიტებას; თუკი არ შევინარჩუნებთ სრულ სიმრთელეს ქრისტიანული.... სხვა ტრადიციული კონფესიების რელიგიური სწავლებისა... თუკი არ შევინარჩუნებთ საღმრთო ვერტიკალს... აი რა არის ყველაზე მთავარი... შესაბამისად, მეცნიერებაც, პოლიტიკაც, კონსტიტუციაც და ჩვენი იდეოლოგიაც ამ ვერტიკალიდან გამომდინარე უნდა აშენდეს“.

რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის წამყვანმა, დასავლეთის მიერ სანქცირებულმა ვლადიმირ სოლოვიოვმა, 25 ოქტომბერს, უკრაინაში მიმდინარე ომს „სახალხო ომი“ უწოდა; თქვა, რომ ეს ყველას საქმე გახდა და რუსეთის თითოეული მოქალაქის ვალია წავიდეს ომში; დეზერტირებს კი – ლარსისკენ (ანუ საქართველოსკენ) აქვთ გზა ხსნილიო.

„ღიად მორწმუნე“ პუტინი

თავად პუტინი კარგა ხანია საკრალური სცენარებით ხელმძღვანელობს და მესიის როლის მორგებასაც ცდილობს; თუმცა უკრაინასთან ომის ფონზე, ანალიტიკოსების შეფასებით, ეს მისწრაფება კიდევ უფრო მკაფიო გახდა.

„ჩვენ, როგორც წამებულები, მოვხვდებით სამოთხეში; მათ კი უბრალოდ სული გაძვრებათ, რადგან მონანიებასაც ვერ მოასწრებენ“, – ეს სიტყვები რუსეთის პრეზიდენტმა, დასავლეთის მისამართით, ჯერ კიდევ 2018 წელს, სოჭში წარმოთქვა, მაშინაც ბირთვული ომის კონტექსტში იყო ნათქვამი.

„მაგრამ უკვე მარტში ეს შამანები გაამგზავრეს სულების სამყაროში; მათი თავები კი იმ სახლების ზღურბლთან გამოკიდეს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ... ეს მოხდა მათ დასანახად, ვისი წინასწარმეტყველებებიც არ ემთხვევა რეალურ შესაძლებლობებს“, – ამბობს სოლოვეი დაამატებს, რომ პუტინი ოქტომბერშიც დაეკითხა შამანებს, რომელთა მომსახურებაც „15 მილიონი დოლარი ჯდება“ და რომლებთანაც ის სულ თავიდან, თავდაცვის მინისტრმა, სერგეი შოიგუმ დააკავშირა.

„ვლადიმირ ვლადიმირის ძე „პუტინი“ ირაციონალური და ოკულტიზმისკენ, მისტიკისკენ მიდრეკილი რუსული ელიტის სიმპტომური გამოხატულებაა“, – ამბობს სოლოვეი და „სარწმუნო წყაროებზე“ დაყრდნობით ყვება, რომ ბოლო შეხვედრაზე „დასმული შეკითხვა ბირთვულ იარაღს უკავშირდებოდა“. **შამანებმა პუტინს უთხრეს, რომ „ხედავენ ცეცხლოვან ჩიტს, რომელსაც მოაქვს ნგრევა, სიკვდილი და გამარჯვება“, მაგრამ არ დააკონკრეტეს – ვისთვის მოაქვს ეს ყველაფერი.**

ლელა კუნჭულია
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი

რუსი ანალიტიკოსები ხშირად ამბობენ, რომ მართლმადიდებელ პუტინს არაამქვეყნიური ბნელი ძალების სჯერა.

შამანებმა პუტინს უთხრეს, რომ „ხედავენ ცეცხლოვან ჩიტს, რომელსაც მოაქვს – ნგრევა, სიკვდილი და გამარჯვება“, მაგრამ არ დააკონკრეტეს – ვისთვის მოაქვს ეს ყველაფერი.

„ძალიან თავ-ხელმარტო ადამიანისთვის ჩქამიც შეიძლება რომ ნუგეშად იქცეს“,



– აკრე ოცყოდ ოკრიდრის ნოკშე

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

სიყვარული

სიყვარული მორჩილების ნაყოფია; ოღონდ სქესთა ლტოლვა ხშირადრე ნაყოფსა და ფესვს შუა ექცევა, თვით სიყვარულის ნაყოფი კი სხვა არა არის რა, თუ არა თავისუფლება.

* * *

უგადრუკოგა სიყვარულში სიამოვნებით ინიღბება იმ პირის არყოფნით, სიყვარულის ღირსი რომ იქნებოდა.

* * *

ვინც უყვართ, იმას თავის ჟინსაც თუ გულისთქმასაც მიუტევებენ.

* * *

ჭეშმარიტი სიყვარული თავის თავში შეიცავს მწვალებლად ყოფნის მგზნებარე ჟინს; მაშინ ის თავის დროს მოჭამს, თავისივე თავის საწინააღმდეგოდ, და იმის გამო, რომ მზად არის თავის თავის გასანადგურებლად: „დაიხრჩე ამ ზღვაში!“

* * *

სიამაყე შთააგონებს ავგედით მიჯნურს, ჩემი სატრფო ჩემს სიყვარულს სავსებით არ იმსახურებსო, ხოლო უფროისად ნამეტანი სიამაყე ეუბნება: „არცვინ არ იმსახურებს იმას, რომ სხვისგან გამიჯნურებული იყვესო, – შენ არასაკმარისად ძლიერ გიყვარს იგიო!“

* * *

უკეთუ საკუთარ ძლიერ განცდას სახელს დავარქმევდით, მაშინ უკვე ერთ ნაბიჯს გადავდგამთ ამ ჩვენი განცდის მიღმა. ამრიგად, უძირო სიყვარულს არ ძალუძს თავისი თავის დასახელება და, ალბათ, კითხულობს: „საძულვილი ხომ არა ვარო“.

* * *

გაღიზიანების სიმცირე დასაწყისში – და შედეგად დიდი სიყვარული? ეს იგივეა, რომ ასანთის ერთ გაკვრას აალება მოსდევს.

* * *

როს ადამიანი იქანცება და თავისი თავი ყირჭდება, თავის თავს იმუღავნებს იმ სურვილით, რომ ვინმე უყვარდეს, ხოლო იმის სურვილი, რომ ის თვითონ ვისმე უყვარდეს – პირიქით, ნაღველს აღუძრავს და თავკერძა ხდება.

* * *

მსხვერპლი, რასაც ადამიანი გაიღებს, მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ რაოდენ უმნიშვნელო ხდება იმისთვის ნებისმიერი სხვა რამ საგანი, ოდეს იმას რაღაც უყვარს.

* * *

შეყვარებული ყოველთვის თავისი თავის ჩუქებაშია, ხოლო ის, ვისაც უნდა, რომ შეიყვაროს ვინმემ, ყოველთვის იმას ესწრაფვის, რომ თავისივე თავი მიიღოს საჩუქრად.

* * *

უგედურება, რსაც განუყოფელი სიყვარული წარმოშობს, ურთიერთსიყვარულის შემთხვევაში კი არ წყდება, არამედ დიდი სიყვარულისა გამო.

* * *

ადამიანს ყოვლის უფროსად ის კი არ სძულს, რაიც ხელს უშლის, რომ უყვარდეთ, არამედ ის, რაიც ხელს უშლის სრულად სიყვარულში.

* * *

„მე ვგრაზობ, რამეთუ მართალი არა ხარ“, – აგრე ფიქრობს სუყოველი ადამიანი, ვინც გამიჯნურებულია.

* * *

საკვირველია, რა სისულელის ჩადენა ძალუძს მგრძნობელობას, შეცდენილს სიყვარულით: ის ერთბაშად სამუდამოდ კარგავს კარგ გემოვნებას, და უხამსი რამ იმისთვის მშვენიერი ხდება, საკმარისია იმასგან მხოლოდ სიყვარულის დარწმუნება ამ ამბავში.

* * *

ჭეშმარიტად ალალ-მართალი ადამიანები ძღვენმიუღებელნი არიან... ისინი ყოველსავე უკან აბრუნებენ, ამწყრალებენ მეძღვნეს ამისა გამო ისინი შეყვარებულ ადამიანთა ზიზღს იწვევენ.

* * *

ხვადი სასტიკია იმის მიმართ, ვინც უყვარს. ესეგვარი გრძნობა წარმოიშობა არა გრაზისგან, არამედ იმისგან, რაკი იგი სიყვარულში თავს ბობოქრად აღიქვამს და სრულიად მოკლებულია სხვისი გრძნობის მიმართ გრძნობას.

* * *

მგრძანებელი გუნების ადამიანები თავიანთ ღმერთსაც უგრძანებენ რამე რომ იყვეს, თუმცაღა მოეჩვენებათ, რომ ემსახურებიან იმას.

* * *

ურთიერთსიყვარულის მოთხოვნა სიყვარული კი არ არის, არამედ პატივმოყვარეობის და მგრძნობელობის მოთხოვნაა.

* * *

ეჭვიანობა მახვილგონივრული ვნებაა და თანაც კიდევ ერთ-ერთი უდიდესი სისულელეა.

* * *

ადამიანს, რომელსაც არც სიყვარული ძალუძს და არც მეგობრობა, ქორწინების იმედიღა რჩება.

* * *

სუყოველ ძლიერ სიყვარულის გრძნობას თან ახლავს სასტიკი აზრი საყვარელი არსების მოკვლის თაობაზე, რათა ერთხელ და სამუდამოდ არ გახდეს იმისი ღალატის მსხვერპლი, რამეთუ სიყვარულს სიკვდილზე მეტად ეშინის ღალატისა.

* * *

საკმარისად სააუგოა იმისი შეგნება, რომ ჟამი ქორწინებისა გევრად აღრე დგება, ვიდრე ჟამი სიყვარულისა, უკეთუ ამ უკანასკნელისდა მიხედვით ვიგულისხმებთ როგორც მამრის, ისე მდედრის მოწიფულობას.

* * *

ქორწინება შეიძლება რომ ზედგამოჭრილი იყვეს ისეთი ადამიანებისთვის, რომელთაც არ ძალუძთ არც სიყვარული, არც დამეგობრება და ამიტომ სიამოვნებით ცდილობენ როგორც რომ თავიანთი თავის, ისე სხვათა შეცდენას ამ ნაკლოვანებისა გამო, რადგან არც მეგობრობისა და არც სიყვარულის არავითარი გამოცდილება არა აქვთ, არც თვით ქორწინებით შეუძლიათ გულის გატეხა.

* * *

სქესობრივი ცხოვრების ამაღლებული და პატიოსანი ფორმა – ფორმა ვნებისა – თანამედროვე სამყაროში ფლობს უწმინდურ სინდისს, ხოლო ყოვლის უფროისად უხამსი და უპატიოსნო – სუფთა სინდისს.

* * *

ქორწინება სქესობრივი ცხოვრების ყოვლის უფროისად გაცრუპენტელებული ფორმაა და სწორედ ამიტომაც მაგის მხარეზეა სუფთა სინდისი.

* * *

ადამიანი, რომელიც ღარიბია სიყვარულით, თავაზიანობის ამბავშიც ძუნწობს.

* * *

ქორწინება მოგონილია ყუფერულ ადამიანთათვის, უნიჭონი რომ არიან, ვითარცა დიდ სიყვარულში, ისე დიდ მეგობრობაში – მაშასადამე, უმრავლესობისთვის, მაგრამ აგრეთვე იმ იშვიათ ადამიანთათვის, სიყვარული რომ ძალუძთ და მეგობრობაც.

* * *

უკეთუ მავანი სხვა ადამიანებთან ურთიერთობასა და ლაპარაკში აიძულებს თავის თავს, რომ ყურადღებიანი იყვეს, ეს აშკარად იმის ნიშანია, რომ იმას არ ვუყვარვართ ანდა გადაგვიყვარა.

* * *

სიყვარულზე ადამიანები მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობენ აგრერიგად აღფრთოვანებითა და მოწიწებით, რაკი ის ცოტა აქვთ და არცროდის გასისინება არ ძალუძთ ამ საკვებით: იმათთვის, ეს „ღვთაებრივი ჭამადია“.

ბედნიერება

ყოველგვარ პატარა ბედნიერებას უნდა იყენებდეს ადამიანი, ვითარც სნეული იყენებს ლოგინს: გამოსაჯანსაღებლად და სხვა არცრა რისთვის.

* * *

გევრი პატარ-პატარა ბედნიერება გვანიჭებს ბევრ პატარ-პატარა უბადრუკობას: სწორედ ამით გვიფუჭებს ხასიათს.

* * *

საღერღელი ბედნიერებაა, კმაყოფილებაა, ბედნიერებისთვის განცდილი, არის საღერღელის მხოლოდ ბოლო მომენტი. ბედნიერება ის არის, რომ სულ ერთიანად სურვილი იყვე და შესრულების ნაცვლად – ახალ-ახალი სურვილებით ივსებოდე.

* * *

მხოლოდ ის უკეთური ადამიანია უბედური, რომელსაც უკეთურების მოთხოვნა ეზრდება უკეთურების მიმართ ზიზღთან ერთად და, ბოლოს და ბოლოს, არცროდის ის არ უშუშდება.

* * *

გამარჯვებით თრობის შემდეგ ადამიანს ყოველთვის უჩნდება დიდი დანაკარგის გრძნობა: ჩვენი მტერი მკვდარია! თვით მეგობარსაც კი არ დასტირის ადამიანი იმდენად ღრმად, სამაგიეროდ ხაფად იმდუღრება.

* * *

ადამიანი, რომელიც მრავალ სიხარულს განიცდის, კარგი ადამიანი უნდა იყვეს. ოღონდ შეუძლია, რომ ყოვლის უფროისად არ იყვეს, თუმცაღა სიბრძნე არ აკლია, რასაც მთელი გულით ელტვიან ბრძენკაცნი.

* * *

ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც გემოვნება აქვს, თუნდაც ცუდი. ოდენ ეს თვისება ანიჭებს ბედნიერებას, უფრორე მეტიც, მხოლოდ ის ხდის ადამიანს ბრძენს.

* * *

„სილამაზე და ყოველივე, რაც კმაყოფილებას გვანიჭებს, ერთი და იგივეა“, – მღეროდნენ ოდესღაც მუზები.

* * *

ჩვენს დროს შეიძლება, რომ ბედნიერი ვუწოდოთ ორი აზრით: ჩვენ ვტკბებით წარსულის სუყოველი კულტურით და იმუამინდელი ქმნილებებით, ვიკვებებით სუყოველი დროების უკეთილშობილესი ჭამადით, მეორე მხრივ კი, ჩვენ იმდენად ახლოს ვართ იმ ძალებთან, რომელთა სიღრმიდანაც ისინი წარმოიქმნენ, რომ დროდადრო შეგვიძლია იმ ძალთა აღტაცებით და შეძრწუნებულად დამორჩილება.

* * *

ანტიკური სამყაროს ადამიანთ ჩვენზე მეტად იცოდნენ სიხარული; ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ნაკლებად გულისტკენა ვიცით...

* * *

ძველებს ტანჯვა რამ თუ შეხვდებოდათ, ცდილობდნენ ეგულმავიწყათ ანდა რამენაირად სასიამოვნოდ ექციათ, ისინი პალიატურ საშუალებას ეძებდნენ, ჩვენ კი ტანჯვის მიზებთ ვეძებთ და უფრორე პროფილაქტიკურად ვმოქმედებთ, იქნებ ჩვენ სულაც მხოლოდ საფუძველს ვაშენებთ, რომელსა ზედაც მომავლის ადამიანები თავიანთი სიხარულის ტაძარს ააგებენ.

* * *

სიხარული, როგორც ჩანს, თავის თავში ისეთ ძალებს შეიცავს, ადამიანის ზნეობრივ გუნებას რომ ამაგრებენ და აჯანსაღებენ: სხვა აბა, რით შეიძლება იმის ახსნა, ოდეს ჩვენი სული ნებივრობს სიხარულის მზის ბრწყინვალებაში მუდამ თავს იქებს შემთხვევასა გამო, ვითარცა კარგი და სრულყოფილების გზაზე შემდგარი...

* * *

იწვე წყნარად და არცრაზე არ ფიქრობდე, აი ყოვლის უფროისად იაფი წამალი სუყოველი სულიერი დაავადებისთვის, რომელი წამალიც, ამასთანავე, კეთილი სურვილის ჟამს სულ უფროისად სასიამოვნო ხდება ყოველწუთიერად.

* * *

სიღრმისეული და მტკიცე ბედნიერება იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერება შეიმეცნებს იმ მოვლენებს, რომლებიც მყარია და რომელნიც კვლავ და კვლავ საფუძველი ხდება ახალი ცოდნისთვის, არადა, ხომ შეიძლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო!

* * *

ადამიანთა შინაგანი ბედნიერება და მწუხარება იმათივე ხვედრი ხდებოდა დიახაც იმის გამო, რომ სწამდათ ესა თუ ის მიზეზი და არა სულაც იმიტომ, რა მიზეზიც სინამდვილეში იყო! ეს უკანასკნელი მეორეხარისხოვანი რამ არის.

* * *

უკეთუ ადამიანს ბედნიერება სწადს, სულაც საჭირო არ არის, რომ ვასწავლოთ, ვითარ მივიდეს ბედნიერებასთან: ინდივიდუალური ბედნიერება გამომდინარეობს საკუთარი, სხვა უცნობი კანონებიდან.

* * *

უმართებულოა, თითქოს სუყოველი შეგნებული არსების (ცხოველის, ადამიანის, კაცობრიობის) გაუცნობიერებელი მიზანი ემსახურებდეს „უმაღლესი ბედნიერების“ მიღწევას. პირიქით, განვითარების სუყოველ ეტაპზე არსებობს განსაკუთრებული, არცროს შესადარი, არც უმაღლესი, არც უმდაბლესი, მაგრამ სახელდობრ თავისი, განსაკუთრებული დამახასიათებელი ბედნიერება. განვითარება მხოლოდ შენი თავის ძიებაშია და არა ბედნიერების ძიებაში.

* * *

სინამდვილეში ბედნიერება, რაიც გაიაზრება ვითარცა ძალაუფლების ყოვლის უფროისად ცოცხალი გრძნობა, ალბათ, დედამიწაზე არცსად მეტი არ არის, ვიდრე ცრუმორწმუნე ასკეტთა სულებშია.

* * *

...ბედნიერებას, რასაც არ უნდა წარმოადგენდეს, იძლევა ჰაერი, სინათლე და თავისუფალი მოძრაობა.

დასასრული. დასაწყისი იხ. №70, 73, 76, 86, 94, 98, 108, 121, 142, 159, 164

ყაზახეთში დემოკრატია საიმედოდ მყარდება და საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობები რეკორდულად იზრდება

დემოკრატი ტოკაევი პარლამენტის როლს ზრდის!

სულ მალე, ყაზახეთი თავის დემოკრატიულ განვითარებაში მნიშვნელოვან ეტაპს მიაღწევს. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები რეგულარულად იმართება 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ამა წლის 20 ნოემბრის მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები, შეიძლება, ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანად ყაზახეთში დემოკრატიული პოლიტიკის მომავლისთვის.

ეს წელი ყველაზე ტურბულენტური იყო რესპუბლიკის უახლეს ისტორიაში. თავდაპირველად ქვეყანას შოკი მოჰგვარა იანვრის ტრაგიკულმა მოვლენებმა, როდესაც ყაზახეთში შეიარაღებული გადატრიალების მცდელობა მოხდა. ერთი თვის შემდეგ უკრაინაში კონფლიქტი დაიწყო, რამაც ირიბად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე. თუმცა, მიუხედავად ამ სირთულეებისა, ყაზახებმა დაიწყეს ახალი თავის დაწერა თავიანთ პოლიტიკურ განვითარებაში. მარტის თვეში ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომარტ ტოკაევმა თავის ხალხს შესთავაზა საკონსტიტუციო რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს შეცვალოს მთელი სახელმწიფო მოდელი და მმართველობის ფორმა პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვის გზით, პარლამენტის როლის გაძლიერებით, მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდით პოლიტიკურ პროცესებში და ასევე, ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერებით.

ყაზახეთის მოქალაქეების 77-მა პროცენტმა მხარი დაუჭირა ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს ივნისის რეფერენდუმზე. ეს იყო დემონსტრირება იმისა, თუ რა არის სამართლიანი ყაზახეთი — მტკიცე ერთგულება დემოკრატიული პრინციპებისადმი და მოქალაქეების უფრო დიდი როლი მთავრობის გადაწყვეტილებების მიღებაში. ყაზახეთის ხალხის დემოკრატიული განვითარების შეგნებული სურვილის წყალობით, ქვეყანა გახდა პოსტსაბჭოთა სივრცეში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების ერთ-ერთი ლიდერი.

ეკონომიკური ინიციატივები მიზნად ისახავს დივერსიფიკაციას, დემონოპოლიზაციას და ეროვნული შემოსავლის სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრეზიდენტ ტოკაევის წინადადებით, საპრეზიდენტო ვადა შემცირდა ორი ხუთწლიანი ვადიდან ერთ შვიდწლიან პერიოდზე, ხელახალი არჩევის შესაძლებლობის გარეშე. ეს ინიციატივა გამორიცხავს ძალაუფლების მონოპოლიზაციის რისკებს და გააძლიერებს დემოკრატიის ძირითად პრინციპებს.

ამ მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილებებისა და რეფორმების გათვალისწინებით, სექტემბერში, მოქმედმა პრეზიდენტმა ტოკაევმა გადაწყვიტა თავისი მანდატის ლეგიტიმურობა დემოკრატიული გზით დაედასტურებინა, რათა ყაზახეთს მიეცეს შესაძლებლობა, განხორციელდეს ფუნდამენტური ცვლილებები მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში. ყაზახეთი სწრაფი ტემპით იცვლება და მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებმა თავიანთი აზრი გამოხატონ ქვეყნის მომავალ მიმართულებასთან დაკავშირებით. არჩევნები საშუალებას იძლევა, მოხდეს ტოკაევის პრეზიდენტობის სამი წლის გააზრება და გაირკვეს, ეთანხმება თუ არა ხალხი პრეზიდენტის მიერ გაჟღერებული სამართლიანი ყაზახეთის კონცეფციას.

ეს არჩევნები ასევე იქნება ყველაზე მრავალფეროვანი ქვეყნის ისტორიაში. არჩევნებში სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე ექვსი კანდიდატი მონაწილეობს, მათ შორის, ოპოზიციის წარმომადგენლები, რაც ამომრჩეველს ფართო არჩევანს აძლევს. გარდა ამისა, რესპუბლიკის ისტორიაში პირველად, პრეზიდენტობისთვის ორი ქალი იბრძვის. ეს არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ყაზახეთის მიმდინარე დემოკრატიულ განვითარებაში. წლების განმავლობაში ყაზახეთი დგამს კონკრეტულ ნაბიჯებს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად და ქალთა როლის გაზრდას ბიზნესსა და პოლიტიკაში. ჩვენ ახლა ვხედავთ ამ ძალისხმევის შედეგს.

ყაზახეთის პრეზიდენტობის კანდიდატების წარდგენის პროცესი სტრუქტურირებულია ისე, რომ იყოს ღია და სამართლიანი. მაგალითად, ყველა კანდიდატმა უნდა მიიღოს ხელმოწერა ყაზახეთში რეგისტრირებული ამომრჩეველთა 1%-ისგან — დაახლოებით 118 000 ადამიანისგან. ექვსმა კანდიდატმა, რომლებიც წარმოადგენდნენ ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკურ ხედვას, ბევრი მოქალაქის მხარდაჭერა მიიღო. ეს არის დემოკრატიის პროცესის ნამდვილობის კიდევ ერთი დასტური.

რა თქმა უნდა, აუცილებელია არჩევნების თავისუფალი და სამართლიანი ჩატარება. ყაზახეთი აჩვენებს, რომ ის სცილდება საერთო მოლოდინს. პრეზიდენტმა ტოკაევმა პირობა დადო, რომ არჩევნები ჩატარდება სამართლიანად, ღიად და ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების ფართო მონაწილეობით. წინა არჩევნებს ზედამხედველობას უწევდა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR) და მრავალი სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია. ყაზახეთი ყოველთვის მიესალმება დამკვირვებლებს, მათ კონსტრუქციულ აზრს და მოუთმენლად ელის მათ მომავალ არჩევნებში.

მნიშვნელოვანი გლობალური გეოპოლიტიკური გამოწვევების გათვალისწინებით, მომავალი კენჭისყრა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ყაზახეთისთვის, არამედ საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც. როგორც ქვეყანა, რომელიც მდებარეობს აზიასა და ევროპას შორის, ყაზახეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორ რეგიონს შორის ვაჭრობის ხელშეწყობაში.

ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს, რადგან ჩვენი ქვეყანა ყაზახეთის მნიშვნელოვანი და პერსპექტიული პარტნიორია სამხრეთ კავკასიაში, რომელთანაც მეგობრობასა და ნდობაზე დამყარებული თანამშრომლობა საკმაოდ აქტიურად და სისტემატურად ვითარდება.

რუსეთ-უკრაინის შეიარაღებული კონფლიქტის, მასთან დაკავშირებული ეკონომიკური და ფინანსური სანქციების გათვალისწინებით, ყაზახეთისა და საქართველოს, როგორც სატრანსპორტო და სატრანზიტო კვანძის როლი ამჟამად იზრდება.

ყაზახეთს და საქართველოს შეუძლიათ შეასრულონ უფრო მნიშვნელოვანი როლი ევროპისა და აზიის ძირითად ბაზრებზე წვდომის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით, ყაზახეთი მზადაა განავითაროს თანამშრომლობა რეგიონული კავშირების გასაფართოებლად და ორი ქვეყნის ტერიტორიებზე გამავალი სატრანსპორტო მარშრუტების ხელშეწყობის მიზნით, მოაწყოს ერთობლივი ღონისძიებები მეტი სატრანსპორტო და სატრანზიტო ნაკადების მოსაზიდად.

საერთაშორისო ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტების, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი დიდი ტრანსკონტინენტური სატრანსპორტო დერეფნების ფარგლებში ერთობლივი მუშაობა, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას.

ამას მოწმობს ის მაჩვენებლებიც, თუკი ბოლო ორ წელიწადში საქართველოსა და ყაზახეთს შორის სავაჭრო ბრუნვა 100 მილიონ აშშ დოლარს ოდნავ აღემატებოდა, 2022 წლის სულ რაღაც რვა თვეში ორმხრივი ვაჭრობა ჩვენს ქვეყნებს შორის თითქმის 200%-ით გაიზარდა და აგვისტოში — 4329.4 მილიონს მიაღწია.

ბოლო 30 წლის განმავლობაში ყაზახეთის მოსახლეობამ შექმნა სტაბილური, აყვავებული და ინკლუზიური საზოგადოება. დემოკრატიული უფლების გამოყენება სახალხო კენჭისყრის გზით ხელს შეუწყობს მიღწეული შედეგების კონსოლიდაციას. ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ ყაზახეთი გააგრძელებს მრავალვექტორულ პოლიტიკას.

იმ მყარი საფუძვლის გათვალისწინებით, რომელიც დაედო დიპლომატიურ ურთიერთობებს 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, არსებობს ყველა საფუძველი, ოპტიმისტურად ვიყოთ განწყობილი საქართველოსა და ყაზახეთს შორის არსებული ურთიერთობების მომავალზე.

სიმონ კალაძე

საქართველო ყაზახეთიდან ურანის ტრანზიტს აღასტურებს!

შემოსავლების სამსახური, მედიით გავრცელებულ, ყაზახეთის ეროვნული ბირთვული კომპანია „ყაზატომპრომის“ კუთვნილი პროდუქციის საქართველოს გავლით ტრანსპორტირების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმიანება და განმარტავს, რომ ქვეყანაში ბუნებრივი ურანის კონცენტრატით დატვირთული სარკინიგზო ვაგონები 6 სექტემბერს შემოვიდა და ეს არ იყო პირველი შემთხვევა.

„მიმდინარე წლის 6 სექტემბერს, საბაჟო-გამშვებ პუნქტზე „გარდაბანი“, კერძოდ, სარკინიგზო სადგურზე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მხრიდან, შემოვიდა ბუნებრივი ურანის კონცენტრატით დატვირთული სარკინიგზო ვაგონები (საერთო წონით 787 ტონა), რომელიც გადაადგილდებოდა ტრანზიტულად ყაზახეთის რესპუბლიკიდან კანადის მიმართულებით (უწყება თავს იკავებს კომპანიების სახელწოდებების დასახელებისგან და საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გავრცელებისგან).

ზემოაღნიშნული ტვირთი კანონმდებლობის შესაბამისად, მოექცა ტრანზიტის პროცედურაში და შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით, განთავსდა ერთ-ერთ საბაჟო საწყობში.

აქვე, განვმარტავთ, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და ტრანზიტისთვის განკუთვნილი აღნიშნული საქონლის გადაადგილება, ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე განხორციელდა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს საბაჟო საზღვარზე ყველა სახის საქონლის კონტროლი მკაცრ მონიტორინგს ექვემდებარება, მათ შორის, განსაკუთრებულ კონტროლს ექვემდებარება რადიოაქტიურ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გადაზიდვის პროცესი“; — აცხადებენ შემოსავლების სამსახურში.

ყაზახეთის სახელმწიფო კორპორაცია „ყაზატომპრომი“ ურანის საექსპორტო მარშრუტის ალტერნატივად, საქართველოს გავლით ტრანზიტს განიხილავს, თუკი კომპანიას მისი ძირითადი მარშრუტის გამოყენების შესაძლებლობა შეეზღუდება. ამის შესახებ ინფორმაცია აზერბაიჯანულმა გამოცემა Trend-მა, გავრცელა.

გამოცემის ცნობით, ყაზახეთმა შესაძლოა, ურანის ექსპორტისთვის ტრანსკასპიური დერეფანი გამოიყენოს „ყაზატომპრომის“ განცხადების თანახმად, ტვირთების ტრანსპორტირება მომავალში ფოთის პორტის გამოყენებით უნდა მოხდეს.

ირკვევა, რომ პროდუქციის გარკვეული მოცულობა ტრანსკასპიური მარშრუტით დასავლეთის ბაზრებზე ტრანზიტის პროცესშია.

„კომპანიის კუთვნილი ტვირთი ფოთის პორტში უპრობლემოდ ჩავიდა. ტვირთი ამჟამად დამატებითი მასალის ჩასვლას ელოდება, რომ მოხდეს კონსოლიდირება და შემდეგ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის გემზე ჩაიტვირთოს“, — ნათქვამია კომპანიის განცხადებაში.

სიკეთე, სიმართლე, სიყვარული

გურამ ხომერიკი

83 წლის, ინჟინერ-გეოლოგი, მეცნიერი

გურამ ხომერიკი სამოცი წელია გეოლოგიასა და სასარგებლო წიაღისეულის სამადოების ძებნა-ძიებას ემსახურება. არის გეოლოგიის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი 3 მონოგრაფიის, 11 სამეცნიერო შრომის და მრავალი პუბლიცისტური წერილის ავტორი. საქართველოში სააკაშვილის მიერ გეოლოგიური სამსახურის გაუქმება უდიდეს შეცდომად მიაჩნია და აღნიშნული სამსახურის სასწრაფოდ აღდგენას მოითხოვს, ვინაიდან ამ დარგის მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული სკოლის გარეშე ქვეყნის ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია.

ამასთანავე ამტკიცებს, რომ ნებისმიერი დიდი თუ მცირე ნაგებობის ადგილის შერჩევის დროს გადამწყვეტი სიტყვა გეოლოგს ეკუთვნის. ხოლო ტექნიკური დარგის სპეციალისტთა პოზიცია ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია, მოჰყავს გეოლოგის სიტყვის იგნორირებისა და ... მოწონების მაგალითები, რომელსაც დაკვირვებულ მკითხველს აქვე ვთავაზობთ.

ჯერ ერთი: ენგურჰესის მშენებლობის პროექტი დამტკიცდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოში. კომისიაში იყო 20 წევრი (მათ შორის ერთი გეოლოგი). 19 ადამიანმა პროექტი დადებითად ცნო და მის დამტკიცებას ხელი მოაწერა. ერთადერთი იყო გეოლოგი, რომელმაც ხელი არ მოაწერა. ნიკოლაი კოსიგინმა (საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ) ბრძანა: „19-მა მოაწერა? მარტო ერთმა არ მოაწერა? ეშმაკსაც წაუღია მისი თავი! დაიწყეთ მშენებლობა“... გეოლოგის წინააღმდეგობა ორი გარემოებით იყო გამოწვეული.

1. კაშხალი და სადერივაციო გვირაბი შენდებოდა კარბონატულ ქანებში, სადაც უეჭველად განვითარდებოდა კარსტული პროცესები და მას მოჰყვებოდა გაუთვალისწინებელი შედეგები. 2. ზუსტად კაშხალის ადგილზე გადის სიღრმული ტექტონიკური რღვევა და გამორიცხული არ არის მის არეალში ტექტონიკური ძვრა (მიწისძვრა)...

ენგურჰესი 44 წლისაა (გაიხსნა 5.11.1978), მიწისძვრისაგან ჯერჯერობით ღმერთი გვფარავს, მაგრამ კარსტული მოვლენები უკვე ინტენსიურად განვითარდა. სადერივაციო გვირაბიდან იკარგება წყლის დიდი ნაწილი.

გალის რაიონის მთის სოფლებში, სადაც წყლის პრობლემა ჰქონდათ, ახლა უხვად მოჩუხჩუხებენ გვირაბიდან გაპარული წყაროები. აპირებენ 15 კმ-იანი გვირაბის გარემონტებას, მაგრამ როგორ დაახშობენ კარსტულ ნაპრალებს და სიცარიელეს, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არა აქვთ.

ცნობისათვის: ენგურჰესის პროექტის ზემოაღნიშნული მოწინააღმდეგე გეოლოგი გახლდათ აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანელიძე, პარიზის (სორბონი, 1910) და ყაზანის უნივერსიტეტების (1916) აღზრდილი, ქართული გეოლოგიური სკოლის და საქართველოში გეოლოგიური განათლების ფუძემდებელი.

პაატა ხახიაური

40 წლის, სოფლის მშენებელი

პაატა ხახიაური დიდი კავკასიონის გადაღმა, პირიქითა ხევსურეთში, ნასოფლარი ხახაბოს აღდგენას პირველი შეუდგა. სიპი ქვის მშრალად აწყობაში, ტრადიციული წესით სახლის შენებაში ერთი გულიანი ნათესავი დაეხმარა.

ხახაბოს სამანქანო გზა არასოდეს ჰქონია. გავშვობიდან მოყოლებული დათვიჯვრის უღელტეხილიდან 12 კილომეტრს სულ ფეხით გადიოდა. მერე ჭუბროვანის უღელტეხილი უნდა გადაევლო, შემდეგ ჭანჭახი, უხიდო მდინარე მრავალგზის გაეტოპა, ზვავი და მეწყერი გადაელახა. ახლა 40 წლისაა. ხახაბო არასოდეს მიუტოვებია, ამას გიორგი ჯირ შიძლიგდა. მან გაუძლო მარტოობას, უგზოობას, უშუქობას... მეგობარ-ნათესავისათვის ხმა რომ მიეწვდინა 10 კმ ზემოთ, ჭუბროვანის ზეკარამდე უნდა ასულიყო ან 25 კმ ქვემოთ შატილში ჩამოსულიყო.

რამ შეიძლება მიაჯაჭვოს ახალგაზრდა ხევსური უკაცრიელ ხეობას, როცა გარშემო ხმის გამცემი არავინ არის? პოეტ რაფიელ ერისთავის ლექსში „სამშობლო ხევსურისა“ არის სიტყვები: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავების ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“. ეს სიტყვები თითქოს პაატა ხახიაურზეა ნათქვამი.

„მარტოკაცობის“ ტკივილთან პირისპირ დარჩენილი პაატას ცხოვრება ერთ დღეს ხახაბოს მოსანახულებლად ჩასულმა ნინო ბარნაბიშვილმა შეცვალა. ის ბარში, მთის ცხოვრების სირთულეთაგან მოწყვეტილი იზრდებოდა, თუმცა სიყვარულის ძალით დღეს ნინო პაატასთან ერთად სოფლის სიცოცხლის შესანარჩუნებლად იბრძვის. მრავალი წლის განმავლობაში ხახაბოსთვის ერთადერთ იმედის ნაპერწკალს პაატას ჭერხოდან ამოსული კვამლი წარმოადგენდა. დღეს კი ნინოსი და პაატას იქ ყოფნა არის იმედი, რწმენა მომავლისა, რომ ხახაბოს „ნახევსურალი“ არასდროს დაერქმევა.

პაატა 10 წლის იყო, როცა ხახაბოში მის ბანიან სახლს მთის წვერიდან მოწყვეტილი ზვავი დაეცა. დედა, და, ძმა, თვითონაც ზვავმა მოიყოლა. გამოსვლა მხოლოდ მან შეძლო. ოჯახის 3 წევრი სტიქიამ იმსხვერპლა. სამშობლო კუთხის განსაკუთრებულმა სიყვარულმა, ბავშვობის წლებმა, ნასოფლარის გაცოცხლების დაუოკებელმა სურვილ-ტკივილმა შეუძლებელი შეაძლებინა.

ბოლო წლებში მთავრობის მეცადინეობით გზა გაჭრეს, მაგრამ ვაი ასეთ გზას. არადა მთელი პირიქითა ხევსურეთისათვის გამოყოფილი თანხა ამ გზას მოხმარდა. ახლა მარტოკაცების მხარდასაჭერად იქმნება ხევსურეთის უცნობი ციხე-სახლების ტურისტული მარშრუტი, მონიშნულია სავალი ბილიკები, ახალი მარშრუტი დათვიჯვრიდან იწყება და ხახაბოს ხეობის გავლით ჯერ ანდაქს, შემდეგ არჭილოს ეწვევა. ანდაქს ამჟამად პაატასავით მარტოკაცი სოსო ზვიადაური აცოცხლებს. არჭილოში კაციშვილის ჭაჭანება არ არის.

პაატამ „აწარმოე საქართველოს“ გრანტი მოიგო. ამ თანხით სახლის მშენებლობას დაასრულებს, ავეჯსა და სხვა საჭირო ინვენტარს შეიძენს, ტურისტებსაც საუკეთესო მასპინძლობას გაუწევს – ზაფხულის დღეებში სტუმრებთან ერთად ცხენებით მოივლის ხევსურეთს, ხოლო მსურველები თუ იქნებიან, მიმდებარე თუშეთს, პანკისის ხეობას და უკანა ფშავსაც გააცნობს.

იგეგმება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე – ხახაბოს ეკოსოფლად გადაქცევის პროგრამა, ხევსურეთის ეკომუზეუმების საერთაშორისო ქსელში გაწევრიანება.

როინ ლიპარტელიანი

69 წლის, პოეტი, მხატვარი, პოლიტიკოსი

როინ ლიპარტელიანი კვლავაც ახალგაზრდული შემართებით ცხოვრობს. სამეცნიერო, ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი საქმიანობიდან თავისუფალ დროს ვარჯიშობს და შესაშურ სპორტულ ფორმაშია. ჩვენს ნომინაციაშიც უჩვეულო ნიჭმა მოიყვანა.

ორი წლის წინათ მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველო პანდემიამ მოიცვა. კაცობრიობის მნიშვნელოვან ნაწილს გაუჩნდა აპათია, უიმედობისა და უსუსურობის განცდა. ერთ ხანს ისიც უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ დაბნეულა, არ დათრგუნულა.

თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში ჩაკეტილმა ვაუკაცურად დაძლია ყველა ტკივილი, დღედაღამ იფიქრა, იშრომა და მუზა-შთაგონებულმა ოთხი თვის განმავლობაში – 2020 წლის 26 თებერვლიდან 26 ივნისამდე, დაწერა 1200 (ათას ორასი) ლექსი და დახატა 51 ფერწერული ტილო!

ამგვარი მიღწევა, ფანტასტიკაა, წარმოუდგენელია, მაგრამ საგანგებოდ ამ მოვლენის აღმწერ-შემფასებელი კომისია (მწერალი და ისტორიკოსი გრიგოლ ონიანი, იურისტი და პუბლიცისტი როსტომ შამუგია, მხატვარი ირაკლი ავალიშვილი, ჟურნალისტი გვანჯა მანია, თბილისი, 2 ივლისი, 2020 წელი) ფაქტის წინაშე დადგა, ფაქტი კი, მოგეხსენებათ, ჯიუტია.

ასეთი სარეკორდო მიღწევის საფუძველი სპორტული ბიოგრაფიაა, ანუ ის ფაქტორია, რომ წარსულში ცნობილი მოჭიდავე, მოგზაური ფიზიკურად, ასევე სულიერ-ფსიქოლოგიურად გამობრძმედილია.

ახლა ორიოდე სიტყვა ოთხ თვეში ნაშრომ-ნაღვაწის შესახებ. წარმოდგენილ ლექსებსა და ფერწერულ ნამუშევრებში აშკარად იგრძნობა ავტორის გულწრფელობა, სამშობლოს მთა – ბარისადმი დიდი სიყვარული, პეიზაჟისა თუ ლანდშაფტის მრავალფეროვნება, განცდების მხატვრულ ფერებში გადმოცემა-განზოგადება. აღნიშნულ, უდავოდ საინტერესო ამ ლექსებში ავტორი ხშირად ღმერთს ესაუბრება და სთხოვს შემწეობას, რათა ბოლომდე მიაყვანინოს თავისი ჩანაფიქრი. ბოლოს კი მადლობას სწირავს უფალს სულის მხნეობის შენარჩუნების გამო.

ჩვენ ხელთაა კომისიის დასკვნა: ავტორმა გამოიჩინა უდიდესი სულიერი სიმტკიცე და სარეკორდო დროში, საოცარ შედეგს მიაღწია. აღნიშნული 1200 ლექსის და 51 ფერწერული ტილოს მხატვრული ანალიზი და კრიტიკული შეფასება დაინტერესებულ მეცნიერ-ექსპერტთა საქმეა. ჩვენ კი ვეცადეთ მსოფლიო პანდემიასთან მორკინალი ადამიანის უტეხი სული და უჩვეულო მოქმედება წარმოგვეჩინა.

გვანჯი მანია,
მხატვარი ალ. ციხელაშვილი

ფრენკ ჰერბერტი

ფრენკ ჰერბერტი გაზეთში მუშაობდა რეპორტიორად, როცა „დიუნის“ იდეა ეწვია. ტექსტი რომ სერიალიზებულად დაიბეჭდა ჟურნალში, 40 წელს გადაცილებული მწერლის ნაწარმოებს დადებითად შეხვდნენ სამეცნიერო ფანტასტიკის მოყვარულები.

თუმცა, განსაკუთრებულ წარმატებას ჰერბერტმა მაშინ მიაღწია, როცა „დიუნის“ გამოცემა საგამომცემლო სახლმა გადაწყვიტა. 1972 წელს ავტორმა გაზეთში მუშაობას თავი დაანება, რადგან წერის საშუალება ჰქონოდა.

კაზუო იშიგურო

იშიგურო 5 წლის ასაკიდან ფორტეპიანოზე უკრავდა, 15 წლის ასაკში კი გიტარაზე შესრულებაც დაიწყო. მომავალი მწერალი თავდაპირველად მუსიკოსობას აპირებდა და პროდიუსერებსაც შეხვდა, მაგრამ, იმათ თურმე „ორ წამში“ უთქვამთ, ეს საქმე არ გამოვაო.

მოგვიანებით, იშიგურო უსახლკაროთა თავშესაფარში და სასტუმროშიც მუშაობდა, მაგრამ წარმატებული მაინც წერით გახდა. იშიგუროს სადებიუტო რომანმა, რომელიც მან 27 წლის ასაკში გამოსცა, კრიტიკოსების დადებითი გამოხმაურება დაიმსახურა.

სტიგ ლარსონი

ცნობილ შვედ მწერალს წერა ყოველთვის უყვარდა, თუმცა, მისი ეს მისწრაფება ჟურნალისტიკის პროფესიისკენ უფრო იხრებოდა. 20 წელს გადაცილებულმა ეროვნულ არმიაშიც იმსახურა, მერე კი შვედეთში ულტრამემარჯვენე რადიკალიზმს თავისი სოციალისტური და ანტიფაშისტური ნაწერებით დაუპირისპირდა.

ლარსონი ასევე მუშაობდა გრაფიკული დიზაინის კომპანიაში და თავისუფალ დროს მემარცხენე გამოცემისთვის სტატიების წერას ახმარდა. 2002 წელს მან მხატვრული ნაწარმოების შექმნა მოიწადინა — იმედოვნებდა, მისი წარმატებით თავისი სხვა საყვარელი საქმეების კეთებასაც შეძლებდა. თუმცა, ავტორი იმ დროს არ მოსწრებია, როცა დეტექტიური რომანი „გოგო დრაკონის ტატუთი“ და მისი ორი გაგრძელება მსოფლიო ბესტსელერებად იქცა; ლარსონი 50 წლის ასაკში მანამდე გარდაიცვალა, სანამ მისი წიგნები გამოქვეყნდებოდა.

მწერალები, რომელთა ადრინდელ პროფესიაზე ალბათ არაფერი გვსმენია

დასასრული. დასაწყისი იხ. №66, 71, 86, 102

◎ ოვალური ბურთი

„შავი ლომი“ – აღმოსავლეთში, „ლუზიტანუში“ – დასავლეთში

„შავმა ლომმა“ რაგბი ევროპის სუპერთასის ქართულ დერბიში „ბათუმი“ 37:0 დაამარცხა და აღმოსავლეთ კონფერენციაში პირველი ადგილი დაიკავა.

ნახევარფინალში ქართული ფრენჩაიზი დასავლეთ კონფერენციის მეორეადგილოსანს, ესპანურ „იბერიანსს“ 3 ან 4 დეკემბერს უმასპინძლებს. დასავლეთში პირველი ადგილი პორტუგალიურმა „ლუზიტანუშმა“ დაიკავა და ის ისრაელის „ჰითს“ მიიღებს. „ბათუმმა“ ტურნირზე ორი თამაში მოიგო და ჯგუფში მესამე ადგილზე დარჩა.

„ავჭალაზე“ გამართულ მატჩში „შავი ლომი“ დომინირებდა და მეტოქეს ტაიმებში 3-3 ლელო გაუტანა. საქართველოს ჩემპიონს პირველი ტაიმის მიწურულს და მეორის დასაწყისში ჰქონდა რამდენიმე მწვავე შეტევა, მაგრამ დასკვნით ფაზებში მასპინძლებმა ყურადღებით ითამაშეს და ზღვისპირელებს ქულის აღების შესაძლებლობა არ მისცეს.

თამაში „შავი ლომის“ იერიშებით დაიწყო, თუმცა „ბათუმმა“ შეძლო ლელოს დაცვა. ამიტომ ლუკა მატკავამ ჯარიმის კარში დარტყმის გადაწყვეტილება მიიღო და მერვე წუთზე ხელსაყრელი პოზიციიდან ანგარიში გახსნა. ბათუმელებს მალევე შეეძლოთ პასუხის გაცემა, მაგრამ 40 მეტრიდან შესრულებული ჯარიმა ძელს ოდნავ ასცდა. „შავმა ლომმა“ ჯარიმის დარტყმაზე უარი თქვა, დერეფნიდან მოლი დააყენა, საიდანაც მოულოდნელად თენგიზ პერანიძემ შეუტია და შეხვედრის პირველი ლელო გაიტანა.

22-ე წუთზე თითქმის კარის წინ დანიშნული შერკინებიდან პერანიძემ გაიტანა ბურთი, მცველი აიყვანა და ინტერვალში ლაშა ხმალაძე შეიყვანა, რის შემდეგაც ანგარიში 13:0 გახდა. 29-ე წუთზე „შავი ლომის“ მოლმა 5 მეტრი დაფარა და მიშო გაჩეჩილაძემ გუნდის მესამე და თავისი პირველი ლელო გაიტანა. მატკავას სამივე გარდასახვა გაუცუდდა. ტაიმის ბოლოს „ბათუმმა“ შეძლო მეტოქის 22-ში ფეხის მოკიდება, მაგრამ ქულა ვერ აიღო და ტაიმი 18:0 დასრულდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბათუმელებმა ორჯერ გაჭრეს ხაზი, თუმცა უშედეგოდ. „შავმა ლომმა“ სწრაფად დაიბრუნა ინიციატივა, 48-ე წუთზე ხმალაძემ გაჭრა ხაზი და გაჩეჩილაძემ დუბლი შეასრულა, მატკავამ კი გარდასახა. შეხვედრა ორმხრივ შეტევებში გაგრძელდა, თუმცა ანგარიში მხოლოდ დასკვნით წუთებში შეიცვალა და კვლავ „შავმა ლომმა“ იხეირა. 73-ე წუთზე მათ მეტოქის 22-ში გაშალეს შეტევა და გიორგი ჭყოიძის პასით ლაშა ლომიძემ იხეირა, 78-ე წუთზე კი მოლი ჭყოიძის ლელოთი დასრულდა და „შავმა ლომმა“ 37:0 გაიმარჯვა.

◎ ლეგიონერი

გუშინ დიეგო მარადონას 62 წელი შეუსრულდებოდა. ალბათ, გენიალურ არგენტინელზე ბედნიერი არავინ იქნებოდა, მისი რეფორმატორობით ერთ დროს ფეხზე მყარად დამდგარი „ნაპოლის“ რენესანსს რომ მოსწრებოდა.

ჩვენთვის საამაყოა, რომ ამ კლუბის აღზევებაში ღირსეული წვლილი ხვიჩა კვარაცხელიას შეაქვს, რომელმაც მორიგი ბენეფისი „სასუოლოსთან“ საშინაო მატჩში მოიწყო — ორი ბურთი ოსიმენს გაატანინა, ხოლო ერთი მარიო რუის ზუსტი გადაცემით თვითონ ჩაიწერა აქტივში, თანაც ეს ისე ელეგანტურად გააკეთა, თვით დიდი წინამორბედიც რომ მოუწონებდა.

მოკლედ, ზედიზედ მე-13 გამარჯვება — 4:0 (ნიგერიელმა ჰეთ-თრიქი შეასრულა), კვლავაც ერთპიროვნული ლიდერობა სერია A-ს სატურნირო ცხრილში და იქაურ ტიფოზებსა და ქართულ დიასპორაში დაბადებული ახალი ზედმეტსახელები კვასიმენი და კვარამენი.

ზეგ ლუჩანო სპალეტის უძლეველი არმადა „ენფილდზე“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდს „ლივერპულთან“ შეხვედრით დახურავს, რომელიც პრემიერლიგაში „ლიდსთან“ საკუთარ მინდორზე კიდევ ერთხელ შერცხვა — 1:2. საკუთარ კვარტეტში პირველი ადგილის დასაკავებლად მასპინძლებს მინიმუმ 4-გოლიანი მოგება მართებთ(!).

◎ ტრადიცია

იმ ქვეყნიდანაც სიკეთეს თესავს

ფარული დიაპაზონის, უკიდეგანო მასშტაბისა და უსაზღვრო ენერგიის ადამიანი-ენციკლოპედია — მოკლედ ასე თუ შევაფასებთ ჩვენს მარადიულ თანამედროვეს კოტე მახარაძეს, რომლის ნათელ ხსოვნასაც მიეძღვნა დიდი მაესტროს სახელობის ჟურნალისტთა მესამე საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი.

მისმა ორგანიზატორებმა — საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდმა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, ტრადიციისამებრ, დაუვიწყარი ზეიმი აჩუქეს ღონისძიების მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას, თვით საინტერესო შეხვედრებს კი ნიუ ვიჟენ ინტერ აკადემიის სტადიონმა უმასპინძლა.

ბრძოლების სიმძაფრეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ფინალური მატჩის ბედი პენალტების სერიაში გადაწყდა და წინა წლების გამარჯვებულებს — უკრაინისა და მოლდოვის გუნდებს ყაზახეთის პირველი ნაკრების სახით მესამე ღირსეული ჩემპიონი შეემატა.



სხვათა შორის, შუააზიელები და ჩვენები ორ-ორი გუნდით თამაშობდნენ და ერთ-ერთი მათგანი სიმბოლურად უკრაინის სახელით ასპარეზობდა, ხოლო დანარჩენ სტუმართაგან აღსანიშნავია ერთმანეთის მეზობლების — რუმინეთისა და მოლდოვის, აგრეთვე განსაკუთრებით — აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრებების გამოსვლა. დიახ, კოტე მახარაძე იმ ქვეყნიდანაც ახერხებს მტრების მოყვრებად ქცევას.

ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა ტურნირის შემდეგ რესტორან რამადაში გამართულ სამაგალითო ბანკეტსა და ოკამში მოწყობილ ექსკურსიაზე.

ინდივიდუალური პრიზების მფლობელნი: **საუკეთესო მეკარე** — აიბეკ ქაბილშა (ყაზახეთი); **საუკეთესო მცველი** — ასაფ ზეინალოვი (აზერბაიჯანი); **საუკეთესო ნახევარმცველი** — ოვანეს მელქონიანი (სომხეთი); **საუკეთესო თავდამსხმელი** — ნაზარ ნაიზაბეკოვი (ყაზახეთი); **საუკეთესო ბომბარდირი** — გიორგი თოთლაძე (საქართველო) — 8 გოლი; **საუკეთესო გოლი** — სერგეი ურსული (მოლდოვა); **სამართლიანი თამაშის პრიზი** — რუმინეთის ნაკრები; **საუკეთესო ფეხბურთელი** — სერგეი ნადტოჩი (ყაზახეთი).

◎ ოქტაგონი

დოლიძის მეხუთე



ქართველმა მებრძოლმა რომან დოლიძემ UFC-ში მე-5 შეხვედრა მოიგო. 34 წლის სპორტსმენის მეტოქე ფილ ჰოუსი იყო, რომელსაც პირველივე რაუნდში ნოკაუტით ავჯობა.

საშუალო წონის 22-ე ნომერს ჩვენებურმა არაფერი დაუთმო და დიდ უპირატესობას ფლობდა. შემდეგ მეტოქე პარტერში გადაიყვანა და გარდამტეხი როლიც ამ მომენტმა იქონია. რომანმა ამერიკელ მებრძოლს მძიმე დარტყმები მიაყენა, რის შედეგადაც მეტოქეს ფეხი დაუზიანდა. გამარჯვება კი პირველი რაუნდის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე გაიფორმა.

რომან დოლიძემ UFC-ში მე-6 შეხვედრა ჩაატარა, რომელთაგანაც 5 მოიგო. კარიერაში კი მის ანგარიშზე 11 გამარჯვებაა.

◎ ლიგა ენდესა

19 ქულაც და MVP-ს ტიტულიც

ესპანეთის ლიგა ენდესას მეექვსე ტურში გიორგი შერმადინის „ლენოვო ტენერიფემ“ სტუმრად „გრან კანარია“ 86:70 დაამარცხა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. გადამწყვეტი მეოთხე პერიოდი გამოდგა, რომელიც სტუმრებმა 15 ქულით მოიგეს.

მოედანზე საუკეთესო შერმადინი იყო. ქართველმა ცენტრმა 23 წუთში 19 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. გიორგიმ 8-დან 6 ორქულიანი და 9-დან 7 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 25-ს გაუტოლდა, რაც ორივე გუნდში საუკეთესო შედეგი იყო და მატჩის MVP-ს ტიტული ერგო.

„ლენოვო ტენერიფე“ 5 მოგებით და 1 წაგებით ლიგა ენდესას სატურნირო ცხრილის ლიდერია, მომდევნო ტურში კი 6 ნოემბერს, „ბილბაოს“ უმასპინძლებს.

◎ დედაქალაქს უთუოდ წაადგება...

იქნებ ეს წესი გავითვალისწინოთ და ჩვენც დავნერგოთ?!

მოგახსენებთ, რომ თბილისი დღე-ღამეში 400 ტონამდე პურპროდუქტებს მოიხმარს. წარმოიდგინეთ, ამას ემატება რძის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული და სხვა.

აუცილებელი საკვები პროდუქტებით ქალაქის მომარაგება მეტად საპასუხისმგებლო და არც თუ მარტივია, რადგანაც თუ გავითვალისწინებთ მაღაზიების ადგილმდებარეობასა და ქალაქის ლანდშაფტს, ქუჩების სარემონტო მდგომარეობასა და პარკირების საკითხებს, ვნახავთ, რომ დედაქალაქში კატასტროფული მდგომარეობაა. მეტად რთულ ვითარებაში არიან დისტრიბუტორები, მითუმეტეს ახალი რეგულაციის პირობებში – თითქმის გაორმაგებული და გაათმაგებულია ავტომანქანების პარკირების საჯარიმო სანქციები.

ადრე არსებობდა პროდუქტების რეალიზაციის ტრანსპორტირებისა და სავაჭრო ქსელში მიწოდების „განსაკუთრებული წესები“, „განსაკუთრებული“ იმიტომ გახლდათ, რომ პური კვების პროდუქტებში პირველადად მიიჩნევა. გარდა ამისა, გამოშვებული პურის დაახლოებით 30 პროცენტი მიეწოდება მაღაზიებს ღამის საათებში. ასე ხდება დღესაც ევროპის მრავალ დიდ ქალაქში. ღამის საათებად ითვლებოდა 24 საათიდან დილის 6 საათამდე პერიოდი. სამწუხაროდ, 1996 წლიდან ფასების ლიბერალიზაციის შემდგომ, სახელმწიფომ მოიხსნა პასუხისმგებლობა პროდუქტების ფასებზე (მაღაზიები კი კერძო მფლობელობაში გადავიდა). განსაკუთრებული წესები ავალდებულებდა მაღაზიებს პურის ფასზე ფასნამატი მხოლოდ 5 პროცენტით მოემატებინათ, რასაც სავაჭრო დათმობა ერქვა. გარდა ამისა, თვითმმართველობის ორგანოები, სავაჭრო განყოფილებები საზღვრავდნენ პრიორიტეტებს, რომელ მაღაზიას უნდა ემუშავა გვიან საათებში და რომელ საათზე მიეღო პური. სამწუხაროდ, ეს წესი მოიშალა და შემოღებული ჯარიმები შეუძლებელს ქმნის პურის დისტრიბუციას, რომ აღარაფერი ვთქვათ გაზრდილ ჯარიმებზე, რომელიც ბოლოს ფოკუსირებდა პროდუქციის თვითღირებულებაზე. ადრეულ წლებში პოლიცია უფლებას იტოვებდა, ალბათ შესაბამისი კანონის ძალით, ხელი შეეწყო პირველადი მოხმარების პროდუქტების გადამზიდავ მანქანებთან დაკავშირებით, რაც ამჟამად საერთოდ უგულებელყოფილია. დისტრიბუტორები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვთხოვთ ამ საკითხში დახმარებას ქალაქის მერიას. ვფიქრობ, ამით მოწესრიგდება როგორც ქალაქში

დისტრიბუციის საკითხი, ასევე გარკვეულ საათებში ქუჩების მანქანებით გადაჭედვა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ცივილურ ქვეყანაში სავაჭრო ცენტრებს ავალდებულებენ პროდუქციის ღამის მიმღებები ჰყავდეთ, რაც გააჩენს სამუშაო ადგილებს და მოაწესრიგებს დისტრიბუციას.

მალხაზ დოლიძე,
საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.

„აჭარული ნაჭრელები“ ხელოვნების მუზეუმში

აჭარის ხელოვნების მუზეუმში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობის საფუძველზე, პროექტის, „ღორჯომის ხეობის ნაჭრელების“, პრეზენტაცია შედგა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, გამოიფინა ამ პროექტის ფარგლებში შეგროვებული ექსპონატები. ეს არის აჭარული ნაქარგობების დიდი კოლექცია, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა, ფოტოები და ვიდეოჩანაწერები. ღონისძიებას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. სექტემბერში ამ პროექტის წარდგენას თბილისმა უმასპინძლა.

„ღორჯომის ხეობის ნაჭრელები“ არის კულტურის სამინისტროს კონკურსის – **„კულტურის სექტორში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა“,** გამარჯვებული პროექტის ავტორი ზურაბ შევარდნაძეა. ღორჯომის ხეობის ნაქარგები განსაკუთრებულია მათი ფერების, შესრულების ტექნიკისა და მრავალფეროვანი სიუჟეტების გამო. სამწუხაროდ, ბოლო დროს ახალგაზრდებში ქარგვის სურვილი და ტრადიცია იკარგება, ტექნიკაც სუსტდება.

პროექტის მიზანი, ერთი მხრივ, ღორჯომის ხეობის ტრადიციული რეწვის განვითარების ხელშეწყობა და ამ პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებისთვის სახელოსნოში დამზადებული რეწვის ნიმუშების, ხეობაში გაკეთებული ეთნოგრაფიული ჩანაწერებისა და აუდიოვიზუალური მასალების გამოყენებით საქართველოს ამ განსაკუთრებული კუთხისა და მისი ტრადიციების გაცნობაა.

პროექტის ფარგლებში სამინისტროს დაფინანსებით მაღალმთიან აჭარაში, ღორჯომის ხეობაში, ტრადიციული რეწვის სახელოსნო ამუშავდა, სადაც დასაქმდნენ ქალბატონები, რომლებიც ხეობაში შეგროვებული ნიმუშების ორნამენტების გამოყენებით სხვადასხვა დეკორატიულ ნივთს ამზადებენ. სახელოსნო მომარაგდა საჭირო ინვენტარით, რათა სრულყოფილად, დამოუკიდებლად შეძლოს საქმიანობა.

გარდა ამისა, სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა ზურაბ შევარდნაძის ორენოვანი წიგნი-ალბომი **„ვინ მყავს უფროსი?!“** გამოცემა აერთიანებს ღორჯომის ხეობის შესახებ მონათხრობსა და ფოტომასალას, რომელზეც აღბეჭდილია ხეობის მცხოვრებთა ყოველდღიური ყოფა, სახელოსნოს საქმიანობა, რეწვისა და ხელსაქმის ამსახველი კადრები. მასალა მოიცავს ფოტოკატალოგსაც ზურაბ შევარდნაძის პირადი კოლექციიდან.

ზურაბ შევარდნაძესთან ერთად პროექტზე მუშაობდნენ ალბომის რედაქტორები, ფოლკლორისტები **ეთერ თათარაიძე** და **ამირან არაბული.** ფოტოების ავტორია **ზაქარია ჭელიძე,** ვიდეომასალა კი დაამუშავა **ხატია მაღლაკელიძემ.**

სანთელი

ირაკლი ხახუბია

კიდევ ერთი დიდებული ქართველის მარადისობაში გადანაცვლებამ დაამწუხრა ფოთის და მასთან ერთად საქართველოს მცხოვრებნი. გარდაიცვალა განსაკუთრებით კეთილშობილი პიროვნება, პარლამენტის ორი მოწვევის წევრი ირაკლი ხახუბია.

საზოგადოება იცნობდა მას, როგორც სამშობლოს მოყვარულ, მშობლიური კუთხის ტრადიციების დამცველ ვაჟკაცს. იგი დიდ დარდს და ტკივილს მალავდა საკუთარ გულში ვაჟიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცდილობდა გარშემომყოფთათვის ყოფილიყო ჭირსა თუ ლხინის გამზიარებელი.

ბატონი ირაკლის მოულოდნელი და ტრაგიკული წასვლა ამ ქვეყნიდან უდიდესი დანაკლისია ოჯახის, დიდი სანათესაოსა და სამეგობროსთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ კეთილი კაცის სული.

თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების სახელით – მეგობრები

სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ძვარცხავა, მერაბ ზამბახიძე, ჯემალ კახიანი, გივი აბდუშელიშვილი, იურა ალანია, გია სვანიძე, გულთაზ ლაბარტყავა, ლია წურწუმია, ჯემალ კვირტია, ბესლან ძორძია, პეტრე ბერაია, ვახტანგ ჩიძოვანი, თენგიზ უჩანეიშვილი.

„თბილისის ბაროკო ფესტივალი“

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, თბილისის მერიის, იტალიის საელჩოსა და ფრანგული ინსტიტუტის მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“ 2022 წლის 9 ნოემბრიდან 27 ნოემბრის ჩათვლით რიგით მერვე „თბილისის ბაროკო ფესტივალს“ გამართავს.

„თბილისის ბაროკო ფესტივალი“ თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა 2015 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დააარსა. ფესტივალმა უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი და მას ყოველწლიურად ბაროკოს მუსიკის მსოფლიოს ვარსკვლავები სტუმრობენ. „თბილისის ბაროკო ფესტივალი“ ამიერკავკასიაში პირველი და ერთადერთი ძველებური მუსიკის ფესტივალია, სადაც ბაროკოს პერიოდის ინსტრუმენტებით და ავთენტიკური შესრულების მანერით სრულდება ძველებური მუსიკა.

ფესტივალში „საქართველოს სინფონიეტასთან“ ერთად მონაწილეობენ ქართველი და უცხოელი მსოფლიოში აღიარებული მუსიკოსები, ანსამბლები და ძველებური მუსიკის სპეციალისტები, როგორებიც არიან: **მომღერალთა ანსამბლი „Organum“** (საფრანგეთი), **ჰელსინკის ბაროკოს ორკესტრის სოლისტები** (ფინეთი) და **აააპო ჰეკინენი** (კლავესინი), მსოფლიოში სახელგანთქმული მევიოლინე ფაბიო ბიონდი და მის მიერ დაარსებული ანსამბლი „Europa Galante“ (იტალია), **კორნელია ფონ კერსენბროკი** (დირიჟორი, გერმანია), **საქართველოს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“, გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა ზვიად ბოლქვაძის ხელმძღვანელობით,** ქართველი თეორბისტი **გიორგი კუზანაშვილი,** რომელიც გერმანიიდან გვეწვევა ფესტივალზე. აგრეთვე მონაწილეობენ სოლისტები: **გაბრიელ გრამესკი, ბაროკოს ჰობოი** (რუმინეთი), **სტეფან ნოდილო, ბაროკოს ჰობოი** (ხორვატია) და **ჟოაკიმ გერა,** ბაროკოს ფაგოტი (ესპანეთი).

აღსანიშნავია, რომ ფესტივალზე ჩამოსული ვარსკვლავები, გარდა კონცერტებისა ძველებური მუსიკის ავთენტიკური შესრულების მიმართულებით მასტერკლასებს ჩაატარებენ.

ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართება **4 საჯარო ლექცია:** ქართული და ევროპული მუსიკის, აგრეთვე ბაროკოს პერიოდის თეატრისა და არქიტექტურის შესახებ და ჩაატარებენ დარგის წამყვანი სპეციალისტები და პროფესორები. ლექციები „საქართველოს სინფონიეტას“ სარეპეტიციო სივრცეში, „Simfonietta Stage“-ზე (სანაპიროს ქუჩა №4, შენობა 2, სართული 8) გაიმართება და დასწრება თავისუფალია. საფესტივალო კონცერტები: **9, 11, 13, 15** და **27 ნოემბერს** რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე, ხოლო **24 ნოემბერს** ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკისა კულტურის ცენტრში გაიმართება.

ჯათარზისი
საერთაშორისო ჰუმანიტარული ჯავშირი (ასოციაცია)
International Humanitarian Union (Association)
Catharsis

ვიწვევთ ასოციაცია „კათარზისის“ თავშესაფარში ცხოვრების მსურველ საპენსიო ასაკის, თვითმოვლის უნარის მქონე ხანდაზმულ ქალბატონებს.

დეტალური ინფორმაციისთვის მსურველები დაგვიკავშირდნენ 10 სთ-დან 18 სთ-მდე. ტელ: 2957876, 558194130

ზაურ (ოლეგ) ალადაშვილი „კათარზისის“ პრეზიდენტი

მანგლისის პეტრეს და პავლეს სახელობის ტაძარში წმინდა გიორგის წმინდა ნაწილები ჩამოაბრძანეს

მანგლისის პეტრეს და პავლეს სახელობის ტაძარში საზეიმო წირვა აღევლინა. ტაძარში ათონის მთიდან წმინდა გიორგის ხელის მტევნის წმინდა ნაწილები ჩამოაბრძანეს და ტაძარს შესწირეს.

წმინდა ნაწილები საქართველოში ათონის კუტლუ-მუშის მონასტრის ბერ-მონაზონმა კირილემ ჩამოაბრძანა.

დავით ფირცხალავა საუკეთესოა



დავით ფირცხალავას ფილმის „დიდი შესვენება“ ევროპული პრემიერა ბოსფორის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა, სადაც ფირცხალავას საუკეთესო რეჟისორის ჯილდო გადაეცა.

„დიდი შესვენება“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია. ფილმის მსოფლიო პრემიერა სექტემბერში ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. ნამუშევარი საქართველოს კანდიდატი ფილმია ამერიკის კინოაკადემიის „ოსკარის“ საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის.

ევროპის სპორტის კვირეული „მზიურში“

„მზიურის“ პარკში „ევროპის სპორტის კვირეული“ გაიხსნა, რომელიც ევროკომისიის ინიცირებული პროექტია.

„მზიურის“ პარკში მოეწყო სპორტული სოფელი, სადაც წარმოდგენილი იყო სახალისო და გასართობი სპორტული აქტივობები როგორც ბავშვებისთვის, ასევე უფროსებისთვის. პროექტი ზედიზედ მეხუთედ ჩატარდა. ევროპის სპორტის კვირეულზე წარმოდგენილი იყო მხიარული სტარტები, ფრისბი, სახალისო ხელბურთი, ამერიკული ფეხბურთი, ბეისბოლი, მაგიდის ჩოგბურთი, სკეიტბორდი, ბავშვთა ძიუდო, უშუ, ფარიკაობა, ბადმინტონი, სამაგიდო თამაშები (ჭადრაკი, შაში, გო, ნარდი), ნორდიული სიარული, ბავშვთა კუთხე.

ბიბლიოთეკა წიგნს თითქმის საუკუნე ელოდა

ბრიტანელმა კაცმა კოვენტრიში მდებარე ბიბლიოთეკას დაუბრუნა წიგნი (რიჩარდ ჯეფერისის „წითელი ირემი“), რომელიც მისმა ბაბუამ დაწესებულებიდან 1938 წელს გაიტანა. 84-წლიანი ვადაგადაცილებისთვის, კაცმა ბიბლიოთეკას 18.27 ევრო გადაუხადა.

როგორც ის ამბობს, ბაბუა უკვე გარდაცვლილია და მის მიერ ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნი დედის ძველ ნივთებს შორის აღმოაჩინა.

„საბავშვო ევროვიზია - 2022“

საბავშვო ევროვიზიის ქართველმა მონაწილემ ვიდეოკლიპზე მუშაობა დაიწყო. წელს საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე საქართველოს მარიამ ბიგვავა წარადგენს, რომელიც „რანინას“ ბოლო სეზონის გამარჯვებულია.

კლიპზე პირველი არხის შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობს. საიუბილეო საბავშვო ევროვიზია ერევანში 11 დეკემბერს ჩატარდება. მუსიკალური კონკურსის პირდაპირ ტრანსლაციას ტრადიციულად საქართველოს პირველი არხი შემოგთავაზებთ.

ვან გოგის შეურაცხყოფას არავის ვაპატიებო...

ამერიკელმა შემსრულებელმა Lil Nas X-მა ეკოაქტივისტების მიერ ვინსენტ ვან გოგის „მზესუმზირებზე“ თავდასხმის გამო „შურისძიება“ გადაწყვიტა.

მუსიკოსმა ფოტორედაქტორის გამოყენებით ენდი უორჰოლის მიერ დახატულ ტომატის სუპის ქილას ნიდერლანდელი მხატვრის ნახატი „ესროლა“. „**შურს ვიძიებ შენზე მისტერ ვან გოგის გამო“,** – ასეთი წარწერა დაურთო Lil Nas X-მა სოცქსელში გამოქვეყნებულ ფოტოებს. ცოტა ხნის წინ, ლონდონში ეკოაქტივისტებმა ვან გოგის „მზესუმზირებს“ ტომატის სუპი შეასხეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი გერმანიაში ეკოაქტივისტებმა კლოდ მონეს „თივის ზვინებს“ კარტოფილის პიურე შეასხეს. არცერთი ტილო არ დაზიანებულა.

პრინცი ჰარის მემუარები

პრინცი ჰარი თავის მემუარებს 2023 წლის 10 იანვარს გამოსცემს და მას სახელად „სათადარიგო“ ერქმევა.



„ეს მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი სურათი იყო: ორი პატარა ბიჭუნა, ორი პრინცი, რომლებიც თავიანთი დედის ცხედარს მიაცილებენ. ამ მომენტს მთელი მსოფლიო შეწუხებული უყურებდა. როცა უელსის პრინცესა დაიანა დაკრძალეს, მილიარდობით ადამიანს აინტერესებდა, თუ რას ფიქრობდნენ და განიცდიდნენ მაშინ პრინცები, როგორ განვითარდებოდა მათი ცხოვრება მომავალში. ეს ისტორია კი ჰარის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. თავისი პირდაპირი, ურყევი გულახდილობით. „Spare“ სავსეა სიძნელეებით, მოპოვებული სიბრძნით, რომელიც მწუხარებაზე სიყვარულის მარადიული ძალის გამარჯვებას შეეხება“, – წერია მემუარების ოფიციალურ აღწერაში. მემუარებში პრინცი ჰარი გვიყვება საზოგადოების თვალწინ გატარებულ ბავშვობაზე, ბავშვობის მოგონებებზე. პრინცი ჰარი წიგნიდან შემოსული თანხის ნაწილს ქველმოქმედებას მოახმარს. კერძოდ, 1,5 მილიონ დოლარით აივ/შიდსზე ორიენტირებულ საქველმოქმედო ორგანიზაციას დაეხმარებიან სამხრეთ აფრიკაში, 300 ათასი ბრიტანული ფუნტით კი, საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელიც მხარს უჭერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს და მათ ოჯახებს.

„სათადარიგო“ გამოვა ზუსტად ოთხი თვის შემდეგ დედოფალ ელიზაბეტ II-ის გარდაცვალებიდან და მეფე ჩარლზ III-ის ტახტზე ასვლიდან. წიგნი 16 ენაზე გამოიცემა.

ჰელოუინი ტრაგედიით დასრულდა

სეულში, ჰელოუინის დღესასწაულზე ხალხმრავლობისას მინიმუმ 151 ადამიანი დაიღუპა. სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ მიიღო ინფორმაცია მინიმუმ 3,580 დაკარგული ადამიანის შესახებ. ქვეყანაში

გლოვა გამოცხადდა, რომელიც 5 ნოემბრამდე გაგრძელდება. გლოვის პერიოდში, ყველა საჯარო დაწესებულება და დიპლომატიური ოფისი დროშებს დაუშვებს.

ოფიციალური პირები ჯერ ვერ ასახელებენ მიზეზს, რის გამო დაიწყო ჭყლეტა. მედიის ინფორმაციით, არეულობის დაწყებამდე ორი ადამიანი უგონოდ დაეცა ქუჩაში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალ-გაზეთი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იგეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 2 ნოემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7758; ევრო - 2.7591
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2027;
100 რუბლი - 4.4982; თურქული ლირა - 0.1490;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6365;
1000 სომხური დრამი - 7.0167.

ამინდი 31 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	–1,	დღე	+18
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+17
თბილისი:	ღამე	+6,	დღე	+21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge